

თვით-განვითარება

374.1

თარგმანი

L-66-თ

1050

ივანე რუსტომაშვილის

481



გ ა მ ო ც მ უ ლ ი

გამოცემული


ზ. კვიციანიძისაგან

ქ. შ. წ. - ქ. გ. ს. წ. კოთიძის ქ.
შოთა რუსთაველის ქ.
ბალახვანის ქ. შინათ-საცავ
სამეცნიერებლო
ქ. ლაქაძეთაისში

თფილისი

სტამბა მ. დ. როტინიანცისა.

1887



10305

Цоз. Ценз. г. Тифлисъ 12 Января 1887 года.

М. Д. Ротинянца на Голов. Просп. соб. д. № 41.

თვით -- განვითარება

თვით-განვითარება მდგომარეობს ადამიანის ბუნების ყოველ-მხრივ, ე. ი. სსეულის, სულის და გონების საკუთარ მეცადინეობით განვითარებაში, გასსნილობაში, დიანს საჭიროა, რომ ადამიანის ბუნების ეს სამი უმთავრესი კუთვნილება დიდს მეცადინეობით იყოს გასსნილი და განვითარებული. ყოველად განვითარებულ ადამიანად შეგვიძლიან მხოლოდ იმას უწოდოთ! რამეღშიაღ მოხსენებულნი სამივე მხარენი მისი ბუნებისა შეთანხმებულად გასსნილნი არიან. უწინდელი საღბები და განსაკუთრებით ბერძნები ძლიერ დიდ ყურადღებას აქცევდენ ადამიანის სსეულარ ძაღების გასსნილობას. მათი აღზრდვის უზირველესი მოთხოვნები იყო: «ჯან-მრთელი სსეულში — ჯან-მრთელი სული.» მიღტონიღ (ინგლისის პოეტი, დიიბადა 1608 წ.) ერთს თავის თხოულებაში ამბობს: «გასსენით ჭაბუკში, როგორღ გონებითი და ზნეობითი, ისე სსეულითი ძაღები, რომ გაზდილობაში მას გამარჯვებით შებრძვა შაკეღოს ცხოვრების ყველა გარემოებებთან და სიძნელებებთან.»

ახლანდელს დროში უმთავრესი ყურადღება მიქცეულია გონებით განვითარებაზე, რომელიღ ძაღიან ვნებს სსეულის სიმრთელესა. ამიტომაღ არის, რომ ამ განათლებულს დროში,

ასე ბევრსა ესკდავთ მოშლილი სტომაქით, უძღური ძელაკებით და საზოგადოთ მუივე აგებულების ვაჟუბატონებსა. ამ გვარ აღზრდისაგან ივნებისა არა მხოლოდ სსეულის ძალები; თვით განკარგ იხსნიება სუსტად; სსეულის მოწიფულობა გვიანდება და ზნეობითი ძალები დღე-დღეზე სუსტდებათ და არა მავრდებათ. სსეულის უვარჯიშობას მოსდევს: სიცოცხლით უქმყოფილობა და მოწიენილობა, უმოქმედობა, ოცნება და სსევა მანაკალი წიხნი. ძალამოდ ჩვენი ასალ-თაობის დასასსნელად ამ გვარ ერთ-მხრივი უძღური გასსნილობისაგან, არის სსეულით მუდმივი ვარჯიშობა და შეუწყვეტელი საქმიანობა. დანიელ მალტუსი (ინგლისის მეტნიერი, ვარდაიცვალა 1834 წ.) დიდის ყურადღებით თვალს ადევნებდა თავის შვილის სამეცნიერო სწავლასა, მავრამ იმავე დროს მტკიცედ თხოულობდა შვილისაგან, რომ ის მუდამ მონაწილეობას იღებდეს ემაწობლების ყოველ გვარ თამაშობაში, რომელიც მისი იფიქრით ხსნის გონებით და სსეულის ძალებსა. ის ასე ეტყოდა სოლმე შვილს: თქმა არ უნდა, რომ ყოველი მეცნიერების შემეცნება ასალისებს და ამავრებს შენს ჭკვასა, რავრამ ამ გვარადვე უნდა იხსნებოდნენ შენი სსეულის ყველა ასოები, და ამიტომ მე მსურს, რომ შენ გვარისანი ყურადღება მიამტციო სსეულით ვარჯიშობებს: ვადისტ-გადმოხტომას, ბურთაობას, ჭიდაობას და სსევა ამ გვარებს. მე მესიამოვნება გხედავდე შენ მარდ ჭაბუკად; ჩემის იფიქრით, ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლიან სრულიად ვისიამოვნოდ რომელიმე საქმითა, როდესაც მთელი ჩვენი არსება იღებს მასში მონაწილეობას. » საინგლისოს მრავალს სასწავლებელში შემოღებულია სსევა-და-სსევა თამაშობანი, რა-

მელნიც მოითხოვენ მოთამაშეთაგან ძლიერ ღონიერ მოძრაობას და ეს არის მიზეზი, რომ ინგლისში ისე ბლამად არიან ქან-მთელი და ძალოვანი კაცები. როდესაც კურცოგი კვლინგტონი უმზერდა შაგირდების თამაშობას იტონის სკოლაში (ინგლისშია), სადაც წინ თითონაც სწავლობდა, სთქვა: «გატყრლოც თუ იქვე იყო მოკებულიო» ვატყალოც სოფელია ბელგიაში; აქ 1815 წ. იყო დიდი სრძოლა აგრანცუზთა და ინგლისელთა შორის; ინგლისელების სარდალმა კვინგტონმა გაიმარჯვა.

სხვა და სხვა თამაშობებს გარდა გარგი იქნებოდა, რომ ეველას სასწავლებლებში გამართული ფოფილიყოს სასკოლისელები, სადაც მოსწავლენი თავისუფალ დროს იმუშავებდნენ; ამით დიდი სარგებლობა მიეცემოდა მოსწავლებს, რადგანაც იმას გარდა რომ გააცნობდა მათ სხვა და სხვა სკოლისეობას, გასსნიდა მათში სიძარდეს და ღონეს. მაგრამ, რაც უნდა იყოს, არ უნდა მხოლოდ სსუელის სხვა და სხვა ვარჯიშობებს და სკოლისეების შესწავლას მოკანდომოთ ემაწვილები თუ ქალები, განსაკუთრებით პირველს დროში, რადგანაც გონებით და ზნეობით განათლებას მუდამ პირველი ადგილი უნდა ეჭიროს და სსუელის ვარჯიშობებს მხოლოდ შესაწევნელ საშუალებად უნდა კნმარობდეთ აღმზანის აღზდაში.

ინგლისის გამოჩენილი კაცი ზალმერსტონი (დაიბადა 1784 წ.) ჯერ კიდევ ასაღვანდობაში ეველას აკვირებდა თავისი ღონით, სიძარდით, სხვა და სხვა ძალოვანის თამაშობებში; მას არავინა სჯობდა ნაგის ტარუნაში წყალზე. ცხენის ჭენებაში და ფეხით გაჭრევაში; ამ შესწევებში ის მუდამ პირ-

ველი იყო, როგორც შედეგში პირველი გახდა ინგლისის პარლამენტში. ამას სიბერეშიაც კი უყვარდა ცხენზე კდომა და ხადირობა, რომლებსაც ახმარებდა თავის მცირე თავისუფალ დროს. ბრემის ქორეულის და დაუფერებელი ღონეზე, მის წარმოუდგენელ დაუღლელობაზე შრომაში, დაჩნა მრავალი ზეწირ-გადმოცემა. ამასე და სხვა ამ გვარ კაცებსე ტუულიათ კი არ იყო სათქვამი ინგლისელს გასეთ „ტიმესში“, რომ ინგლისის გამომხეილი კაცები შესანიშნავნი არიან, როგორც ოსებიითი, აგრეთვე სხეულითი ძაღოვნებით.

ერთის მეცნიერის სიტყვით „სხეული არის სულის სახლი, მისი მუდმივი საბუდარი. როგორც სახთელი იმდენად უფრო კარგად ასათებს, რამდენათაც უფრო კარგი მასაც უბიდამ არის გაკეთებული, სწორედ ამ გვართვე, ჩვენი სულის ყოველი მოქმედებანი იმდენად უფრო კარგად აღსრულდებიან, რამდენათაც ამ სულის საბუდარის სხვა და სხვა ასოები უფრო კარგად იქნებიან გასხილნი; და როგორც ღვინო მიიღებს ერთ ანუ მეორე ტივის გემოსა, სწორედ ეგრეთვე სული მიიღებს უწყებულ ზნეობით ხასიათს იმ სხეულისას, რომელშიაც იგი მოქმედებსო“.

ვალტერ სკოტი ერ კიდევ შავირდობაში შესანიშნავი დონეს და ჯან-მთელობას იჩენდა; ის შუბით განგმერდა ორატულების მდინარე ტვიდში, როგორც მარკვე და გამოცდილი მეთავეზე; შექელა კელური ცხენების გასეღნა, როგორც კარგ მკვირითეს. იმ დროსაც კი, როდესაც ის გულით და სულით მწერლობას მიეტა, ამ შესაქცევებს თავს არ ანებებდა და სადამო ჟამს თოფით ხელში კურდღლებს გაეღვენებოდა ხოლ-

მე ტყეში. ყოველი ზემოთქმულიდამ მკითხველი კარგად ჰხედავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია სხეულის ჯან-მრთელობას. მას შემდეგ ადამიანის სრული გასწინასთვის აუცილებლად საჭიროა, რომ იგი შეეჩვიოს გაუტყებელი გონებით საქმიანობას. უწინდელი მცნება, რომელიც გვასწავლიდა: „ყოველი შრომით დასძლიეო“, ყველასზე ნაყოფიერად შეიძლება გამოიყენოს ადამიანმა თავისი თავის გონებით თვით-განვითარებისათვის. გზა განათლებისა გაღებულა ყველას შრომის-მოყვარესათვის და რადგანაც ჰქვეყნაზე არ არსებობენ იმ გვარი დაბრკოლებანი, რომელთა დაძლევა მტკიცე და გამბედავი მუშაკისათვის შეუძლებელი იყოს, ამიტომ ხელი მივეყობთ თვით-განვითარებას.

საზოგადოთ მეცნიერებაშიაც, როგორც ყველას სხვა საქმეში, ენერჯია და შრომის-მოყვარეობა დიდი საქმეა. ჯოშუას რეინოლდსი ასე დაუკრესული იყო შრომის მოყვარეობის ძალაუვნებაში. რომ იმის ფიქრით, მომთმინეობითი ჭ შეუდარებელი შრომით, ყველას შეუძლიან სრულ-ყოფი გასდესო. ის ამტკიცებდა, რომ დაუღალავი შრომა თვით-განვითარებაში გახდის ადამიანს გენიოსად. რეინოლდს არა ჰსწამდა ზეგარდმო ნიჭი და მადლი: მას სწამდა მხოლოდ შრომა და საგნის საფუძვლიანად შესწავლა. „აღმატებულება“, იტყოდა ის, „ეძლევა ადამიანს ჯილდოდ მხოლოდ შრომისათვის. თუ თქვენ შემკული ხართ მაღალი ნიჭებითაო, შრომის-მოყვარეობა სრულს ჰყოფს მათ; თუ თქვენი ნიჭები არა მაღალი ხარისხისანი არიან, შრომის-მოყვარეობა განავითარებსო მათ და შეუვსებს ყოველი

ნაკლულევიანებებსა. ძარგად მომართული შრომისათვის არაფერია დაუძლეველი, უიმისოდ კი არასოდეს არაფერი არც გაკეთებულა და არც გაკეთდებოა“.

მაგალითებით ვიცით, რომ უდიდესი გენიოსები იყვნენ აღმატებით შრომის-მოყვარენი და უპირველესი განმასხვავებელი ნიშანი მათის მოქმედებისა იყო. ის იყო, რომ ისინი მუდამ ყოველი ძალების-ხმებით მუშაობდნენ. ნამდვილი წარმატება მიდის ხელ-ხელა და ვინც პატიოსნად და კეთილ-სვინდისიანად მუშაობს, შეუძლებელია, რომ იმან შრომის ჯილდო არ მიიღოს. მუდმივი ბეჯითობით საქმეში ადამიანი, თითქმის ყოველის შეუმჩნევლად წინ მიდისო. „საქმიანობა“, იტყუდა სოლომე პოეტი გრეი, „არის ბედნიერება“. „უმჯობესია სრულ დაუძღურდეთ მუშაობით, ვიდრე ჭკუა-გონებით დავსლუნგდეთ უსაქმობისაგან“, იტყუდა ყუმბურლანდის (ინგლისშია) ეპისკოპოსი. ყველაზე უზენაესი და უბოროტი გზა ადამიანის განვითარებისათვის არის თვით-განვითარება. ის განათლება, რომელსაც აძლევენ სასწავლებლებში, არის მხოლოდ დასაბამი და საიუშპეელი, რომელშიაც შემდეგში თვით ეცნება უნდა ააშენოს თავისი ყოვლად სრული განვითარება და განსწილობა. ამიტომ, ვინც სასწავლებლიდან გამოსვლის შემდეგ, შეაჩერა სწავლა და თავი ანება თვით-განვითარებას, დაწმუნებული იყავით, რომ ის შორს გერ წავა და ერთს და იმავე წერტილზედ დარჩება. ნაყოფიერი სწავლა მხოლოდ იგია, რომელსაც ადამიანი საკუთარი გარჯით და მეცადინეობით იძენს. სხვისგან მიღებული სწავლა არ მოუტანენ კაცს არავითარს საჩვენებლობას, თუ ყველა ამ ღონისას ის კარგად არ შეითვისებს და სორც-

სისხლად არ შეირგებს. ის ჰაზრი, რომელიც ჩვენ სხვამ ჩაგვინერგა, ჩვენი არ არის; ჩვენ საკუთრებად მხოლოდ ის ჰაზრები შეგვიძლიან ჩავთვალოდ, რომელნიც საკუთარი მეცადინეობით და შრომით არიან მოპოებულინი. ამ გზით მიღებული ცოდნა ღრმად აღიბუქდება ჩვენს თავში, მაშინ როდესაც იგივე ცოდნა, მიღებული სხვისგან, მხოლოდ გვერდზე უფლის ჩვენს ტეინსა. ამ გვარი თვით-განვითარება აღორძინებს ადამიანში ყველა მიძინებულ ძალებსა და განსაკუთრებით განავითარებს მოსაზრების ნიჭს.

უპირველესი პირობა ყველა წარმატებისა არის საკუთარი შრომა და გარჯვა: თუ არ ეს, ვერასფერს გვიშველიან ვერც წიგნები, ვერც მეცნიერთან სწავლა, ვერც სასწავლებლების გაკვეთილები. ვერც ზეპირად მრავალი რისაძე შესწავლა... ერთი სიტყვით, ყოველგვარ-საქმეში საკუთარი შრომა შეუნაცვლებელია. მხოლოდ საკუთარი შრომა განავითარებს ადამიანსა და აძლევს მას შეურყეველ რწმუნებებსა და დაუღალავ მოქმედებისადმი ლტოლვასა.

ამიტომაც არის, რომ ყველა კარგი მასწავლებელი იმას მეცადინეობს, რომ მოსწავლე თვითონვე ცდილობდეს საგნის შესწავლას, ყოველი თვისი ძალებით მასზე მომართვით: რომ თვითონვე მიიღებდეს ცხარე მონაწილეობას საგნის შესწავლაში და არა მხოლოდ მასწავლებლებისაგან გარდმოცემული სწავლით კმაყოფილდებოდეს ის. ამ გვარად მოქმედებდა ინგლისის მასწავლებელი-აქიმი არნოლდი (დაიბადა 1795 წ.) ის სწინდა ემსწვილებში იმ ხასიათსა, რომ მხოლოდ საკუთარს მეცადინეობას ენდობოდნენ და თვითონვე ცდილობდნენ თა-

კიანთ ნიჭების გახსნას; თვითონ კი მხოლოდ უსულძღვანელებდა, აგულაინებდა და აღძვრიდა მათში შრომის-მოყვარეობას.

ცოდნის მქონე იმდენად არის ღირსი პატივის-ცემისა, რამდენათაც ის კეთილად სმარობს თავის ცოდნას. მრავალი ცოდნა, შექნილი ყოველის გამოურკვეველის მიზნათ, იქნება სასიამოვნო იყოს მისი მფლობელისათვის, მაგრამ რა საარგებლობა შეუძლიან მოუტანოს იმის თავს ანუ სხვას? ადამიანის განვითარებისათვის საკმაოსი არ არის ერთი მწიგნობრული განათლება: შეიძლება კაცმა მრავალი წიგნები წაიკითხოს, მრავალი სამეცნიერო საგნები შეისწავლოს, მაგრამ მანც მოკლებულ იყოს ნამდვილ ადამიანობას. ცოდნის ღირსება ფასდება არა ამ ცოდნის რიცხვით, არამედ იმით, თუ რომელი საქმის წარმატებით წარმოებისათვის იყო ის შეძენილი. სწავლის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ გახსნას ადამიანის გონება და გააუკეთესოს მისი ხასიათი~~წივი~~ უნდა გვაუკეთესებდეს გვაბედნიერებდეს და სასარგებლო ზირად გვხდოდეს მოყვანათვის; უნდა გვაძლევდეს კეთილ-სულობას და ენერჯიას მაღალი მიზნების წარმატებისათვის. ჩვენ არ უნდა ვკმაყოფილდებოდეთ წავითსვით ანუ მოსწრებით იმაზე, თუ როგორები იყვნენ სსგები და ანუ რა გააკეთეს მათ, არამედ თვითონაც უნდა დაუყოვნებლივ გამოვიდეთ სხვათა ზედა დაუმყარებელი მოქმედების გზაზედ. უმცირესი ცოდნის კაციც კი მუდამ იმას უნდა ცდილობდეს, რომ კარგად გამოიკვლიოს თავისი დანიშნულება და მოკალეობა ჭ შეეჩვიოს რიგთან და შრომის მოყვარეობით სავსე ცხოვრებას. თუმცა მაღალი ნიჭები თვით ბუნებითვე ეძლევა ადამიანსა, მაგრამ კი-

მეორებით, რომ ბეჭდითი თვით აღზრდით და თვით-განვითარებით, იგივე ძალიანი ნიჭები შესაძლებელია მოპოვებულნი იყვნენ მცირე ნიჭიერების პატრონებისაგანაც. ჩვენ იმდენს მანაც უნდა ვცდილობდეთ თვით-განვითარებისათვის, რომ შეგვეძლოს ის ესთქვათ, რაც სთქვა რისტერმა: «მე ვცდილობდი სრულ-მეურთავისი თავი იმდენად, რამდენათაც ეს ჩემზე იყო დამოკიდებული და ამაზე მეტი არავის ნება არა აქვს მამთხროვას.» ყველა უნდა შეხვიოს თავისი თავის თვით-სულმძღვანელობას საკუთარი პასუხის გების ქვეშ. რასაკვირველია, შეიძლება მიზანმოთ სხვის კარგ საქმეებსა და კეთილ მაგალითებსაც, მაგრამ მანაც მხოლოდ საკუთარს ძალებზე უნდა იყენეთ დამოკიდებულნი და თავის თვით-აღზრდას და თვით-განვითარებას თვითონვე უნდა დაუდვით საფუძველი.

ძრავალი სასო-კვეთებსა მიეცემა სოღმე თვით აღზრდაში მხოლოდ იმიტომ, რომ ძალი ვერ შეუძლებს თავის წინამტეხს; ამათ ზღონათ, რომ დასთესავ რკოს თუ არა, იმ საათშივე მუნა ამოვარ. ერთხელ ერთმა სოფლის მასწავლებელმა ნახა, რომ იმის სკოლაში მოსწავლეთა რიცხვი ყოველ დღე კლებულობს; გამოიკითხა ამის მიზეზი და თავის გასამართლებლად აი რა უთხრეს გლეხებმა: „სწავლამ უნდა გააუმჯობესოს ჩვენი შვილები, ჩვენ კი ვხედავთ, რომ სწავლას არავითარი სერი არ მოაქვს და იმიტომ გამოვიყვანეთ ჩვენ შვილებიო“. გლეხებს ასე ეგონათ, რომ სკოლამ ერთს წელიწადს გაუკეთესოას მათი შვილები. ძრავალს სწორეთ ამ გვარზე ვიწრო შესაძლებლობა აქვს თვით-აღზრდა-განვითარებაზე. თვით-აღზრდა-განვითარებითაც, როგორც ყველა სხვა საქმიანაც, მხოლოდ

სანგროძლივი და მუდმივი შრომით შეიძლება წარმატებაში შეი-
ყვანოთ თავისი თავი.

შექცევა და გართვა საზოგადოთ კარგი რამ არის, რო-
დესაც ზომიერად სმარობს მას კაცი, მგრამ ნამეტანი კი
რყენის მთლად ადამიანის ბუნებასა, რისაგამო ყველა დიდის
ურადადებით უნდა უფრთხილდეს ამ სენსა. ასაღვანდისათვის
ისე არაფერია მავნებელი, როგორც უზომო გართვა-შექცევა.
ამ ყოფაში იმისი უკეთესი თვისებანი ჩღუნებებიან, ჩვეულ-
ბრივი გრძნობანი ჰკარგვენ მის თვალში თავის ღირსებასა,
ღტოლვა უზენაეს შებნისადმი სრულად ესზობა და ყველა ამის
შედეგი ის იქნება სოღმე, რომ როდესაც ამ გვარს ასაღვან-
დას წინ დაუზღებინს ნამდვილი შრომა და ცხოვრების სსვა
მოთხოვნილებანი, მაშინ ის გრძნობს სრულს სიძულვილს საქ-
მიანობისადმი. მუდმივი ქეიფობით, კაცი ასე საშინლად ასუ-
სტებს და ჭლკვს თავის ძალებსა, რომ ჭეშმარიტი ბედნიერება
მისთვის თითქმის სრულიად შეუძლებელი სდება. კაცი, რე-
მელმაც ასაღვანდობის ხანი უნაყოფოდ დაღია მხოლოდ შე-
ქცევაში, ისეთივე შებრალბის ღირსია. როგორც ბავშვი, რე-
მელმაც არ გამოჩანს სიწირიელე, როგორც ქალი, რომელმაც
უდროოდ დაკარგა თავისი ქაღწულობა, ანუ ჭბუყი, რომელ-
მაც დაკარგა ნდობა ამხანაგებისა. თუ ამ გვარი უბედური მი-
მართულება ერთხელ დაძვიდრდა ადამიანში, მაშინ მწელადლა
იქნება მისი გასწორება. მოქეიფე უთუოთ ცუდი და გარყვნილი
კაცი გახდება, მაგრამ, მაინც უნდა ესთქვათ, რომ ამგვარად
გბუჭებული კაცის გასწორებაც შეიძლება, თუ ის ეცდება
ღრმად დაფიქრდეს იმ მოვალეებაზე, რომელიც მას აძკვს, რე-

გორც რომელიმე საზოგადოების წევრსა, ანუ რომელიმე საღ-
ხის შვილსა და ამასთან, თუ ის დაუყოვნებლივ და ენერგიუ-
ლად შეუდგება რომელიმე სასარგებლო საქმეს.

ბუნებით უწინტიერეს კაცად ფრანცუზთა შორის იყო
ბენუამენ კონსტანტი; ამ კაცს, რომ ჩვეულებრივად ესაქმნა და
მუდამ თვალი სჭირებოდა თავის ეოფა-ქცევაზედა. ძლიერ ბევრ
დიდ საქმეს შექმნიდა. ის მუდამ ბევრ საქმეს იწყობდა, მაგრამ
კერც ერთი ვერ გაწყვიანდა ბოლომდე, რადგან თავისი სიცოც-
ხლის უმეტეს დროს სათამაშო ღ შესაქცევ სასლეში ატარებდა.
ეს იყო ძლიერ მჭერ-მეტყევი მწერალი, მაგრამ სამწუხარო ის
იყო, რომ ის სრულად შეუსაბამოდ ცხოვრებდა თავის ძალა
ნიჭებთან. მას აკლდა ბოლომდე გამტანი ლტოლვილების ძალა;
ის კმაყოფილდებოდა მხოლოდ განძნსკებით, რომელნიც არა-
სოდეს საქმედ არ გადიქეოდნენ ხოლმე, ამისმა სიცოცხლემ
უდროვოდ წაგებულმა ქეიფებში და სსვა დროს გატარებაში,
სრულიად დაკარგა თავისი იასი. ხშირად თითონვე იტყოდა,
რომ მას არა აქვს რომელიმე მტკიცე რწმუნებანი და სრულიად
მოკლებულია ზნეობით სიმტკიცესა. ამიტომ, თუმც კონსტან-
ტი ძლიერ ძალაღი ნიჭის კაცი იყო, მაინც ვერაფრის გა-
კეთება ვერ შესძლო; ამ გვარი უფრო სიცოცხლის შექდეგ,
ის მოკვდა სრულიად დატანჯული სიცოცხლით ღ სიღატაკით.

სრულიად წინააღმდეგ სურათს და საკვირველ განსსვაკე-
ზას წარმოგვიდგენს ავგუსტინ ტერის ცხოვრება. ძოლათ მისი
ცხოვრება არა ის აღმატებით მშენიერი მაგალითი ბევრითი შრო-
მისა, თვით-განვითარებისა და შეუდრეკელი ერთგულებისა მც-
ნიერებისადმი. მუდმივ საქმიანობისაგან მან დაწყარგა თვალთ-

მხედველობა, სიმრთელე, მაგრამ, მაინც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე შეინახა შეურყეველი სიყვარული ჭეშმარიტებისადმი. მოხუცებაში, როდესაც ის ასე დასუსტდა, რომ სხვის შეუწევნელად ღარცვი შეკლულ სიარული, მაინც არ დავარდა სულთ. ბრმა და შეუწევნელი, მან დამთავრა თავისი მწერლობა შემდეგი კეთილ-შობილი სიტყვებით: თუ მართლაც ის აზრი, რომ მეცნიერება უნდა ჩარიცხულ იქნეს ხალხის უუდიდეს კუთვნილებათა შორის, მაშ მე უმსხვერპლე ჩვენ საზოგადო სამშობლოს ყოველი, რის მსხვერპლის მოტანაც შეუძლიან მხედარს ბრძოლის ველზედა! როგორი ბედიც უნდა მოელოდა ეს ჩემს შრომას სულ ერთია, მაგრამ მე, მაინც დარწმუნებული ვარ, რომ თვითონ ეს მაგალითი არ იქნება დაკარგული; ბე მსურს, რომ ამ მაგალითმა დამარცხოს ის ზნეობითი სისუსტე, რომელიც შეადგინს ესლანდელი დროის სენს; მე გულთ და სულთ მსურს, რომ ჩემმა მაგალითმა გამოიყვანოს სწორს გზაზე, რამოდენიმე მაინც, იმ ზნეობით დაცემულთაგან, რომლებმაც არ იციან რა გააკეთონ და ამოდ ეძებენ ვეკლგან თავანის-ცემის საგანსა. რათ ამბობენ, რომ ეს ჩვეანთ თავის ესლანდელი მდგომარეობით საკმარისად არ იძლევა ჭაერს სასურთქელად, რომ მასზე ვეკლასთვის არ მოიბრუნა საქმეო? განა ჩვეანზე ცოტა რამ არის შესასწავლი და გამოსაკვლევი? განა ეს თავ-შესაფარი ყოველ-გვარი უბედურებისაგან, ეს ისეთი მომავალ უკეთესობაზე ერთგვარად არ არის მისაღწევი ვეკლასათვის? ამათთან ერთად სომ ყოვლად-შესაძლებელია უკუგადოთ შავნი დღენი და სრულიად ვერცვი ვიგრძნოთ მათი ტვირთი! ვეკლას შეუძლიან ისე მოიწეოს თავისი ცხელება.

რომ ღირსეულად გატაროს თავისი სიცოცხლის დღენი. მე სწორედ ასე მოვიქეცი და კიდევ ასე მოვიქეცეოდი, რომ შესაძლო იყოს სულ-მოკრედ ჩემი სიცოცხლეს დაწეობა; მე ამოვირჩევდი სწორედ იმ გზას, რომელმაც მომიყვანა მე ესლანდეუს მდგომარეობამდის. ბრმა და უნუგეშო მე თამამად გარწმუნებთ თქვენ ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში. ქვეყანაზედ არის ერთი საჯანი, რომელიც სდგას ყველა სიეთიერს განცხრომაზე, სიმდიდრეზე და თვით ჩვენ სიცოცხლეზედაც უფრო მაღლა — ეს არის ერთგულება და სიყვარული მეცნიერებისადმი“. ნამდვილს განვითარებას ადამიანი ვერას დროს ვერ მიაღწევს მომარჯვებული გზით და უმოქმედობით. ამ მიზნამდის მიღწევა უფრო შესაძლოა დაბრკალებით სავსე გზით. რომელთა დასაძლევათ საჭიროა განსაკუთრებითი ძალის-ხმევა. ეს დაბრკალებუნი არიან უკეთესნი მსწავლეებელნი და შეცდომილებანი ამ შემთხვევაში სშირად მოგვანიჭებენ აღმატებით კარგ გამოცდილებას. ჯემს ფოქსი ჩვეულებრივ იტყოდა სოლმე, რომ ის უფრო მეტს გამოელოდა იმ კაცისაგან, რომელმაც პირველად მარცხი მიიღო, მაგრამ, რომელიც მაინც განაგრძობს თვის საქმეს, ვიდრე იმისაგან, ვინც შეჩვეულია მუდმივ გამარჯვებას და ამიტომ შემთხვევა არ ჭქონია მოესმარა საქმეზე აღმატებითი ცდა და თავ-გამოღება. „ყველა ეგ კარგი“, იტყოდა სოლმე ფოქსი, როდესაც მას უაშობდნენ, რომ ამა-და-ამ ახალგაზდა მჭკვერ-მეტყველმა თავი გამოიჩინა თვის პირველს სამჯავროის სიტყვაში: „ამ ახალგაზდას შეუძლიან ისე განაგრძონ თავისი მოქმედება, როგორც დაიწყო და იქნება, კიდევ, დაკმაყოფილდეს პირველის გამარჯვებითაო, მაგრამ მიხეუნეთ იმისთანა

კაცი, რომელმაც პირველად მარცხი მაიღო, მაგრამ რომელიც
მაინც განაგრძობს თვის ერთსულ არჩევულს საჩქესა; მე დარ-
წმუნებული ვარ, რომ ის ასაკურ უფრო კარგი გამოვა, ვიდრე
ისინი, რომლებიც პირველშივე გამარჯვება ნახეს. . . სასოგა-
დოთ, ყველაფერი დიდი: ზანტები, აღმოჩენანი, გამოგონვანი, —
ხშირად იხადებოდნენ მსოფლოდ ჭირთა და ცუდ გარემოებათა
შუა და სრულიად ძველდებოდნენ მსოფლოდ მრავალი მარცხე-
ბის შემდეგ“.

შენიშნულია და მართალიც არის, რომ მარცხი ომებში
ძალიან გონიერს მოთავს-სარდალს უფრო მეტს ძალასა, ვიდრე
გამარჯვება. ვაშინგტონმა (ამერიკის შერთებული სამთავროების
დამხსნელი ინგლისის უღლიდგან 1732—1799 წ.) უფრო მე-
ტი ბრძოლა წააგო, ვიდრე შოიგო, მაგრამ დასასრულად მაინც
ძლიერ-მოსილი დაჩნა. რომაელებმა თავისი უუღაღესი გამარ-
ჯვებასი მოიგეს თითქმის მუდმივი მარცხების შემდეგ პირველ-
ში. საფრანგეთის გამოჩენილის ლაშქართ-მოთავს მარხს
(1761—1813 წ.) ამხანაგები ადარებდნენ დოლსა, რომელიც
მსოფლოდ მაშინ ასმის, როდესაც ჯოხით სცემენ. ინგლისის
გამოჩენილი სარდალის კელინგტონის (1769—1852) სამ-
ხედრო გენიოსობა სრული შეიქმნა მსოფლოდ ღ თითქმის და-
უძლიერ სიძნელებათა და დაბრკოლებებთან ბრძოლაში; მსო-
ლოდ ამ დაბრკოლებებმა განამტკიცეს მასში ხასიათი ღ უფრო
ნათლათ დაგანახეს იმისი უზენაესი თვისებანი არა მსოფლოდ,
როგორც ლაშქართ-მოთავსისა, არამედ როგორც ადამიანისაც.
სწორედ ამგვართავე, მენახე სიძნელებში უფრო ზოლებს უკეთეს გა-
მოცდილებას, რადგანაც ამ შემთხვევაში მასში იხსენება ნდობა

მსოფლოდ თავის ძალებისადმი და ამგვარებს მის მსწეობას და შეუდრეკელობას. ის გზა ჩვენი განვითარებისა, რომელიც მდგომარეობას გაჭირებაში და ვაი-ვაგლასში, თქმა არ უნდა, არის უუძძიმესი, მაგრამ ესევე უნდა ჩავთვალოთ აღმატებით უკეთეს გზათ წარმატებისათვის. უბედურება და გაჭირება გვადლევეს ჩვენ შემთხვევას, შევიგნოთ ჩვენში დამალული ძალა და ავცილებს მთლად იმ ენერჯიას, რომელიც ჩვენთვის ბუნებას მოუცია ისე, როგორც სურნელოვანი მცენარენი, მსოფლოდ მასშინ გამოიღებენ თავის სურნელს, როდესაც მაგრად დაისრისებიან: „ჭირი“, იტყვის ერთი უწინდელი ანდაზა, „აწარის გზა სასუფიქველისა“. ზოგნი ძლიერ თამამად იტანენ ყველა გვარ ჭირს და დიდის მოთმინებით იბრძვიან უბედურებებთან, მაგრამ სშირად უძღურები სდებიან იმ საშიშროებათა წინაშე, რომლებსაც წარმოგვიდგენს ბედნიერება, ასე რომ სშირად, კეთილ გაბრძობებათა შორის გაცნს უფრო მეტი სიმტკიცე და ძალა უნდება სასიათისა, ვიდრე ჭირში. თქმა არ უნდა, რომ კეთილშობილ სასიათის გაცნე, ბედნიერებისადმი მიღწევა მოქმედობს კეთილად, მაგრამ გაფუჭებულ გაცნს იგი სტოკებს ისევე მდაბალ სარისსზე; ამ გვარს გაცნების ზნეობაში მსოფლოდ ის ცვლილება სდება, რომ მათი გრძობა ზვობად გარდაიქცევა სოლმე და ბედნიერების მოწოდებით იგინი სდებიან უმეტეს უღმობელნი. მასშინ როდესაც ძალა-სულოვან ადამიანებს ამ გვარი ცვლილება უფრო ამგვარებს და აუკეთესებს. ყველა გვარ სიმკვლევეს ჩვენ უნდა მტკიცედ გაუძლოდ სოლმე; უბრძოლოდ საჭმისადმი მიღწევა სულ ერთია, რომ მიღწილ მიზანს ყოვლის უდიდებოდ. თუ არ არის დაბრკოლება და სიმნელე — არ იქნება წარმატება.

სიძნელენი აშინებენ მხოლოდ სუსტი და მსდალი სასიათის
კაცებსა, მაგრამ შეშედავ და თავ-გამომდებ ადამიანებს იგინი
უფრო აღორძინებენ საქმეზე. ყოველ-დღიური ცსოვრების კ-
მოცდილება სათლად გვიხვენებს, რომ მომეტებული დაბროკო-
ლებანი კაცობრიობის წინ-წაწევასში შეიძლება გაუქმებულ იყ-
ნენ ადამიანის შეუდრეკელი და კეთილ ყოფა-ქცევით, ჰატიო-
სანი და გულსმოდგინებითი მოქმედებით და შრომით, ყველა-
ზედ უმეტესკი მტკიცე გადაწყვეტილებით: რომ დაჰდლიო
ყოველი სიძნელე, ამ უკანასკნელს შემთხვევასში, ყველა და-
ბროკოლებანი სშირად თითქმის თვითონვე ისზობიან.

ცსრა შემთხვევასში ათიდაშ, ეს დაბროკოლებანი ისზობიან,
თუ კაცი ჰირ-და-ჰირ შეებრძვის მათ. ყველა კაცს მხოლოდ
მასშინ შეუძლიან იცოდეს თავისი ნიჭების ძალოვნება, როდესაც
იმას გამოცდილი აქვს ეს ნიჭები რომელიმე საქმეში. ამიტომ, ვი-
საც წსურს შეიტყოს თავისი თავის ნიჭიერება საჭიროა მხოლოდ
ერთს საქმეს დაადგეს. სამწუსაროდ, ჩვენ იმ დრომდე არ ვცდით
სოლმე ჩვენ ნიჭიერებას, ვიდრე თვითონ გარემოება ძაღას არ
დაგვაცანს, რათა ცსოვრების ასპარეზე გამოვიდეთ. სშირად გაი-
გონებთ მჭმუნვარე ასაღკანდის ჰირით: „თუ მე შამემძლოს ამ
საქმის გაკეთება“ ჭ სსავ ამისთანებს. ამ გვარ ჭზბუგებს ჭგონიათ,
რომ მხოლოდ ამ სიტყვების განმეორება საქმისა მათი უსაქმობის
ღ უმოქმედობის განსამართლებლად, მაგრამ შეიძლება ნამდვილათ
ესთქვათ, რომ ამ გვარი ჭზბუგი ვერსაოდეს ვერას გააკეთებს
თუ მხოლოდ ამ თავისი სურვილით და ოხვრით დაკმაყოფილ-
დება. წადლიი მასშინ არის კარგი, როდესაც იგი გარდაქცევა
ცლად და თვით საქმედ; ერთი ენერგიული ცლა უმჯო-

ბესია ათას უნაყოფო წადილზე და ოსკრასზე. აი ეს უბედურ-
რი „ას“ და „თუ“, — ეს დრტკინვა წინა განძრასულ უძლიერე-
ბასზე, — აბრკოლებენ და სშირად სპობენ არა თუ მთლად საქმეს
ანუ რომელიმე დაწყობილებას, არამედ თვით პირველ ცდასაც.
„სიძნელენი და დაბრკოლებანი,“ სთქვა ლინდგორსტმა, „არ-
სებობენ იმისთვის, რომ დავსძლიოთ ისინი; ამ გვარს ბრძო-
ლაში, სრულიად განიმტკიცებთ სსსიათსა. ამ გვარის ბრძოლით
ადამიანის გონებითი და ზნეობითი თვისებანი მიიღებენ საჭირო
განვითარებას და სიმარჯვეს ისეთ ფართო საქმეებისათვისაც,
რომელნიც სრულიად გაუგებარია იმათვის ვისაც შრომა არ გა-
მოუცდია. დაღამებებმა მისცა მშვენიერი დარიგება ერთს მოსწა-
ვლესა, რომელიც ჩიოდა მასთან, რომ ვერაფერ წარმატებას ვერ
ვხედავ ანთმეტივის შესწავლაშიო: „განაგრძეთ, განაგრძეთ,
ჭაბუკო, თქვენი შრომა და, მერწმუნეთ წარმატებანი თვითონ
მოკლებ თქვესთანხა!“

— დასაბამი ძნელია ყველა საქმეში, იმ გვარ უბრალო საქმე-
შიაც, როგორც არის გასეირნება. ყველა საქმე გვიმსუბუქდება
მხოლოდ მოთმინებითი და სანგრძლივი ვარჯიშობის შემდეგ,
თუმცა პირველად მრავალ მარცხებს გამოვივლით სოფლი.

ერთსელ ვაშუა რეინოლდს ჰკითხეს: „რამდენს სანს
ჰსატე შენი სურათი“ — „მთელი ჩემი სიცოცხლის განმავალ-
ობაში“, უპასუხა მან. მჭკვერმეტყვი, რომელიც მეტათ აღვილად
და მშვენივრად დაღადებს მსმენელთა წინაშე, იძენს ამ ნიჭს
მხოლოდ მოთმინებითი და დაჟინებული შრომის შემწეობით,
მრავალი ვარჯიშობის შემდეგ და, როგორც ბიკონსფილდს
მოუვიდა, მრავალი მოტყუების და მარცხის შემდეგ. ამერიკის
გამოჩენილმა მჭკვერმეტყვემა გენრიმ ბლეიმ აი რა ურჩია ახალ-

იმ გვარში მისვრა-მოსვრა შეეთვისა, როგორც შექიფროდა მის, ცოტა არიუსს, ურცხვ და უშნო აგუბულებას. კანონ-მდებლობის შესწავლის დროს, ის ხშირად მართავდა სასლში სამაგალითო სადავო საქმეებს და იგვავდა ანუ ამტყუნებდა ამ საქმეს, მითომ დაფიცებულთა წინაშე. ამის შემდეგ ჩვენთვის საჭირო აღარ არის განვაცნოთ, თუ როგორ წარმეტებით დაგვირგინდნენ კურანის შრომის მოუვარეობა, ენერჯია და ნიჭი, რადგანაც მისი გამარჯვება და ძლევა მრავალ დასრულებულ მართლად და სრული იყო. ყველა შემოთქმულიდამ ცხადათა სხანს, რომ უკეთესი აღზდვის პატრონნი ისინი არიან, რომლებმაც იცინა დიდის თავ-გამოდებით მოქმედება ყველა დასრულებათა შორის და რომელნიც თვით-განსხილობაში არ სხურდებიან არა გვარ სიმხელის და ჭირსა წინაშე, უკან არ იწევენ, თუნდა რომ ამავე დროს ისინი წარმოუდგენელ სიღარიბეს ებრძოდნენ. გამოჩენილმა და ყველასაგან ცნობილმა ენათ მცოდნე პროფესორმა მურმეიმ ისწავლა კითხვა ნასშირის ჯღანით სსვა-და-სსვა ნიუ-თესუ. ამისი მამა იყო ერთი საწყალი მენახშირე და ქქონდა მხოლოდ ერთი წიგნი— შემოკლებითი კატეხიზმო, რომელსაც როგორც ძვირფასს საუნჯეს, ფრთხილად ინახავდა განჯინაში და რომელსაც მხოლოდ წასაკითხავად იღებდა იქიდან. მეორე პროფესორი მურ.ი, სიუმაწვილეში ასეთი საწყალი იყო, რომ არ შეეძლო ყიდვა ნიუტონის ერთი თხზულებათაგანი, რომლითაც სკოლაში გაკეთილებს აძლევდნენ. რომ უშველოს თავის თავს, მან სადღაცა მოიპოვა წიგნი და თავიდან ბოლომდე საკუთარი ხელით გადმოწერა. მრავალი ანაგვასდა მოსწავლე ისე საწყალი ყოფილა, რომ იძულებულნი იყვნენ ერთ—და—იგივე

დროს უბრალო მუშასავით ემუშავათ საჭმელ-ჩაცმის მოხანოკ-
ლად და სწავლის ნამცეცებიც კარიფათ, როგორც ფრინველები
ჭკრეივკენ საზრდოს ზამთარში, როდესაც დედაშიწა დაფარუ-
ლია თოვლით; თუმცა ეს აგრეს, მაგრამ ისინი მანც მამცურ-
რად აგრძელებდენ თავიანთ სწავლას, ებრძოდენ გაჭირებულ
ცხოვრებას და დასასრულათ მსწავლელნი გამოდიოდენ. გა-
მოჩენილი მწკნალი მილიამ ჩემბერსი ამ გვარად აღწერდა
ახალგაზრდების კრებაში თავის აღზრდას! „ის აღზდა და ის
ცოდნა, რომლითაც მე ესლა ვარ მდიდარი, მანობეულია სრუ-
ლიად საკუთარი მეცადისეობით და შრომით; ჰირველ დაწეებითი
სწავლა მე მივილე შოტლანდიის ერთ საწყალ სოფლის სკოლა-
ში, საიდანაც შემდეგში მე ყოვლის უფულათ ჩამოგვიდი ედინ-
ბურგში, სადაც მთელ დღეს მუშაობაში ვატარებდი ჭ მსოლოდ
საღამოს ჟამს ვანმარებდი სწავლასა ჭ თავის გონების განსასა-
დილის შვიდი საათიდან მოვიდებული ვიდრე საღამოს ცხრა სა-
ათამდე მე ვიმყოფებოდი ერთ წიგნის გამსუიდეკლთან, რო-
მელთანაც მე სამუშაოდ დავდექი; მანც მუდამ დღე რამდენიმე
საათს, რომელსაც მე მიღს უკლებდი, ვანმარებდი სწავლასა;
რომანეს, რასაკვირველია მე არ ვკითხულობდი: მთლად ჩემი
გონება და ყურადღება მიქცეული იყო ბუნების მეცნიერების
და სხვა სასარებლო საგნების შესწავლასე. ამავე დროს თვით
სწავლით მე შევისწავლე ფრანციცული ენა. როდესაც დიდის
სიამოვნებით მოვიგონებ ხოლმე წარსულსა, მე თითქო ვნანობ,
რომ აღარ შემიძლიან ვიწყო ის მზრუნველობით საკე ცხოვ-
რება, რომელიც მე მაშინ მქონდა. მე უფრო მეტ ვამყოფილებას
კვრნობდი მაშინ, როდესაც ვსწავლობდი საღმე ჩარდასში,

სშირად ულუკმო პუროდ, ვიდრე ასლა, როდესაც მე აღარა-
ფერში ნაკლებულეა აღარა მსჭეს“.

მოგიყვანთ კიდევ ერთს სასიამოვნო მაგალითს, რომელ-
საც მოგვითხრობს ვილიამ ძობეტი ამასე, თუ როგორ
სწავლობდა იგი ინგლისურ გრამმატიკას: „მე ვიწუე გრამმატი-
კის შესწავლას“ ამბობს ის, „როდესაც ვერ კიდევ სალდათთ
ვიყავი და დღეში მხოლოდ თორმეტი კაპიკი ჯამაგირი მქონ-
დაო. მოართულის ოთახის მაგიერად მე ვსწავლობდი სალდა-
თურ ქვეპაგებსე, განჯინის მაგიერ წიგნებს ვინახავდი გუდაში
და საწერი სტოლის მაგიერ მქონდა ფიცრის უბრალოს ნაჭერი,
რომელსაც მუსლებსედ ვიდეუდი და ისე ვწერავდი. თუმცა ასეთი
ღარბი იყო ჩემი მოწყოობილობა, მაინც გრამმატიკის შესწავლას
მოუნდი მხოლოდ ერთი წელიწადი, მე არ მქონდა სათლის
ფული და ზამთარში მოკლებული ამას, მაინც ვასერსუბდი მესარ-
გებუნა იმ ცეცხლის სინათლით, რომელსაც ჩვენ სადგომში
ანთებდნენ. თუ ამგვარ გარემოებაში ყოფნა, მოკლებულ მა-
სწავლებელსა, მეგობარსა და ნათესავსა, რომელთაცან ზოგჯერ
მაინც გაიგონებ რჩევას და გამხსნეებსა, მე მაინც—და—მაინც
შეკასრულე წადილი, განა ეპატიება ასაღვანდას, თუ იგი ვერ
ასწრობს თავის საქმეებსა, რაც უნდა ღარბი იყოს, რაც უნდა
დიდი სამუშაოთი იყოს დამძიმებული, ერთი სიტყვით, რაც
უნდა შევიწროებაში იმყოფებოდეს!? სშირად კაღმის ანუ ქა-
ღაღდის სასუილდად მე იბულებულ ვიყავ მომეკლო საჭმელი,
თუმცა ამის შემდეგ სრულიად ვკლურდებოდი შიმშილისაგან.
მე არა მქონდა არც ერთი წამი დრო, რომელიც შამქლო უთუოთ
თავის დროთ ჩამეთვალა; მე იბულებულ ვიყავ მეკითხნა და

მეწერა რამოდენიმე ათის კაცის მალა-სმინს ღაპარაკში, სარ-სარში, სიმღერაში და ჟივილ-კივილში, რომელნიც ჩემს მეცადინეობას არავითარ უურადლებას არ აქცევდნენ. ასე უბრალო საჭმედ ნუ მიგაჩნიათ ის გროშები, რომლებსაც მე მაშინ დროდა-დროს მიმაკლობაში ვიზოკავდი მელნისათვის, კალმუბისთვის და ქალღმისთვის. ეს გროშები მაშინ ჩემთვის ძლიერ დიდს ფულს შეადგენდნენ. მასსოვს როგორ ერთსელ ყველა ხარჯის გარდა, კიდევ ორი კაპიკი დავინარჩუნე, რათა მეორე დღით საჭმელად ქაშაყი (თევზია) მეყიდნა. მაგრამ, როდესაც დღით ხელი ჩაკეცი ვიბეჭდი, დავინახე რომ, ის ორი კაპიკი დამკარგოდა. სრულიად მშვიდი და დასუსტებული მე დავიწე ტირილი, როგორც ბავშვმა! ამის შემდეგ სელმეორედ გკითხავთ, ვინ გაჩებდავს უარ ჭეოს რომელიმე საქმის შესრულება, როდესაც მე, ამ გვარ მდგომარეობაში მეოფმა, მინც ბრძოლა გაუწიე ყველა გაჭირვებას და მარჯვეთაც შევასრულე ჩემგნით დაწეული საქმე და შრომა?“

ჩვენ დროში ამ გვარსაკე შესანიშნავ მატალითს შრომის გასაოცარ ძალისას წარმოკვიდგენს კემბრიჯის პროფესორი და შესანიშნავი ენების მცოდნე სამუელ ლი. (დაიბადა 1783 წ.) ზირველ დაწეებითი სწავლა ღიმ მიიღო ერთ საწყალი ბავშვების სკოლაში, სადაც მისი სწავლა ასე ცუდათ მიდიოდა. რომ მასწავლებელმა აღვიარა: „ამისთანა ჩლუნგ-გონებისანი მოსწავლე მე არასოდეს არ მინახავსა“. აქედამ ღი მიებარა ერთს დურგალსა, რომელთანაც დაჭეო, ვიდრე ჭაბუკობამდე. დურგალთან მეოფობის დროს, რომ რითიმე გაირთვას თავი მოცლილობაში, ღიმ სელი მიჭეო წიგნების კითხვასა; ინგლისური წიგნების

კითხვის დროს მას ზოგჯერ უსვდებოდნენ ლათინურ ენასკ დაპეტდილი სიტყვები, რომელთა გაგება ძლიერ სურდა. ამისათვის მან იყიდა ლათინური გრამატიკა და ცხარეთ იწყო მისი შესწავლა. დილანობით და საღამოთი; ამ გვარად ღვიმ შეისწავლა ლათინური ენა და შეუდგა ბერძნული ენის სწავლებას. როდესაც შემთხვევით სხვა ერთი სასწრება ბერძნულ ენაზე დაწერილი. ამისათვის მან გაიდა რამოდენიმე ლათინური წიგნები, იყიდა მათ მაგიერად ბერძნული და ძალეც შეისრულათავისი წადილი. შემდეგში ისეკ ყოვლის უმასწავლებლოდ შეუდგა ებრაული და სხვა-და-სხვა აღმოსავლეთის საღებების ენების შესწავლას. მაგრამ ამ მძიმე და მოუსვენარმა შრომამ ძლიერ ცუდათ იმოქმედა ღის სიმრთელეზე: მუდმივი საქმიანობისაგან მისი თვალ-მხედველობა ასე დასუსტდა, რომ თითქმის გერათყერს სედავდა. მასინ ღვიმ შეასერა დროებით თავის სამწიგნობრო საქმები და იწყო მსოლოთ დურგლობა, რომლითაც ისეკ დაიბრუნა თვალ-მხედველობა. ამ მუშაობით ღვიმ იმდენი შეძლება მოიპოვა, რომ ოცდა-რვა წლოვანობაში დაქორწილდა. ღი უთყოთ სიკვდილამდე თავს არ დაანებებდა დურგლობასა, თუ ამ დროს არ დაწწოდა თავისი იარაღებით სავსე უუთი, რომლებითაც ის მუშაობდა. რადგანაც ახალი იარაღების უიღვა მას არ შეეძლო, ოვანობა კი უზუროდ ივდა, ღის გაუარა თეიქრმა სელი მოჭკიდოს ბავშვების სწავლას, უფრო მეტად იმიტომ, რომ ეს საქმე არ ითხოვდა მისგან, არავითარ ფულისა. ეს ახალი საქმე პირველად კარგად ვერ მიწყავდა ღის, რადგანაც თუმცა მან მრავალი უცხო ენები იცოდა, მაგრამ მოკლებული იყო საზოგადოთ განათლებასა. მაგრამ გამბედავი და

გაუტყველი ლისათვის რა იქნებოდა დაუძლეველი; ის ცხრედ შეუდგა წერვის და ანთიმეტის შესწავლას, რომელნიც მალე ისე ისწავლა, რომ შეძლო ამ საგნების სწავლება. მალე ლიმ თავისი მშვენიერი სასიათით მოიპოვა ბლომად მეგობრები და ამბავი მეცნიერი დურგლის მრავალ-ცოდნაზე მოიფინა შორს გარეშე ადგილებში, რომლის შემდეგი ის იყო, რომ ის დანიშნეს მასწავლებლად ერთ სოფლის სკოლაში. შემდეგში მეგობრებმა სელი მოუძარტეს ლის, წიგნები უშოკეს და მან სელ-ნელა შეისწავლა არაბული, სპარსული და ინდოეთური ენები. დასასრულად ლიმ მოახერხა კემბრიჯის უნივერსიტეტში შესვლა, სადაც დიდი ნიჭი გამოიჩინა მათემატიკაში და როდესაც იქ არაბული და ებრაული ენების პროფესორის ალაგი დაიცალა, მასმინ მან დაიჭირა ეს ადგილი. ამ სახლი მოვალეობის გარდა, ლიმ თავის ნებით იკისრა წაღმართ-მომქცევების სწავლება, რომელნიც აღმოსავლეთ ტომებში უნდა წასულიყვნენ სასარების საქადაგებლად. ამის გარდა ლიმ გადათარგმნა სასარება რამდენიმე აზიურ ენებზე; შეისწავლა სახლი ზელანდიის ენა (ვასტრალაშია) და შეადგინა მათთვის გრამატიკა და ლექსიკონი. ამ უამად ეს წიგნები მუდამ იხმარებიან სახლი ზელანდიის სასწავლებლებში. აი ამ გვარი იყო ჩვენგან მოკლეთ აღწერილი შესანიშნავი მოქმედება სამუელ ლისა, რომლის ცხოვრება წარმოგვიდგენს მშვენიერ მაგალითს პირადული შრომის უოკლად-შემძლებლობისა თვით განვითარებაში და აღზდაში.

მოგვეყავს კიდევ რამდენიმე მაგალითი იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ „სწავლა არას დროს გვიან არ არის“. კინტ მტკიცედ განიძრასა სამეცნიერო საგნების შესწავლა, ის ძლიერ

ბეკის გააკეთებს, თუნდა რომ სნიერობაში დაიწყო საქმე. მაგალითათ: გერნი სველმანმა იწყო საძეცნიერო საგნების შესწავლა მსოფოდ ომოდცდა-ათი წლიდამ. შრანკლინმა სწორედ ამავე წლოვანობაში იწყო პირველად ბუნების ფილოსოფოსიის შესწავლა. ღრადინმა და სკოტმა გამოიხინეს თავი მწერლობაში მსოფოდ ომოდც წლოვანობიდამ. ალვიერმა მსოფოდ ომოდც-და ექვს წლოვანებაში იწყო ბერძნული ენის შესწავლა. აქიმმა არნოლდმა იწყო ნემენცურის შესწავლა ამავე წლოვანებაში, რათა შეიძლოს მეცნიერი ნიბურის თსზულებების ფვით დედანის კითხვა. სწორედ აგრეთვე ჯემს შატტმა ომოდც წლოვანებაში, როდესაც ის თითქმის მთელ დღეებს ახმარებდა იარაღების კეთებას, იწყო ფრანციფულის, ნემენცურის და იტალიანურის შესწავლა, რათა შეძლებს ქონოდა, კკითხნა სამესანიერო წიგნები ამ ენებზე. ერთი სიტყვით, ვინ ჩამოთვლის ყველა იმ გამოჩენილ კაცებსა, რომლებიც სნიერობაში შეუდგნენ სრულიად ახალ საქმესა და გამარჯვებულნიც გამოვიდნენ. მსოფოდ დაუდეკარნი და ზარმაცნი იტყვიან: „ჩემი სწავლის დრო აღარ არისო“, და სსვა...

ვიძეარნეთ, რომ პირველობა და სელ-მძვანელობა სსო-გადობაში ეკუთვნის არა კენიოსებსა, არამედ შეუდრეკელ თავ-გამომდებს და მოქმედებაში დაუღლეულ კაცებს.

სშირად სრულიად შიძე და ჩლუხგი გონების შავირდები უფრო უსწრობენ უზენაესი ნიჭებით შემკულებსა, თუ პირველებში მოიპოება ჩვენგან ჩამოთვლილი თვისებანი, ე. ი. გაუტესლობა, თავ-გამოდება და დაუღლელობა სწავლაში, თუ სხვა საქმიანობაში. მოგიყვანთ რამდენიმე მაგალითს იმ კაცებისას,

რომელნიც სიემაწვილეში იხენდენ თითქმის წარმოუდგენელ ხლუნგ და მძიმე ჭკვა-გონებასა, მაგრამ ხნიერობაში გასდნენ უუადიდებულეს კაცებად. გამოჩენილი მსატკარი პეტრო-დევ-პორტონა სიემაწვილეში ასეთი მძიმე გონებისანი და მიუსგუ-დარი ემაწვილი იყო, რომ მიიღო სასული: „ვირის თავი“. ნიუტონი სასწავლებელში ზირველად იყო უკანასკნელი და ძლიერ მძიმე გონების შაგირდი. ერთსელ ერთმა ზირველთა-განმა შაგირდმა ძალიან ჩაჭკრა ნიუტონს თავში; აქ ნიუტონმა ზირველად გამოიჩინა იმდენი გამბედაობა და მხნეობა, რომ გამოიწვია თავის მოძალადე კრივში და კარგად მიტყემა ის. ამის შემდეგ მან განიძრასა სწავლაშიაც გაუსწროს თავის ზირ-ველ მოძალადეს, რომლის გულისათვის ის დიდის გულის მო-დგინებით შეუდგა სწავლასა და მართლაც ძალე დაიჭირა ზირ-ველი ადგილი ვლასში. მრავალი ინგლისის გამოჩენილი ღეთის-მეტყველები სიემაწვილეში იყვნენ ძლიერ გონება განსნილნი. მაგალითად, ისაკ ბაროუ სკოლაში იხენდა მსოფოდ დიდს ღონეს და ამასთან წარმოუდგენელ ზარმაცობასა, რომლითაც ძლიერ აღონებდა თავის მშობლებსა; მამა მისი იტყუდა „თუ ღმერთი ინებებს ჩემი რომელიმე შვილის სიკვდილსა, მე დარ-წმუნებული ვარ, რომ ეს შვილი იქნება ისაკი, რომელიც ყვე-დაზე უნიჭოა“. ეს ხომ ასე იყო, მაგრამ შემდეგში ისაკ ბაროუ გამოიდა დიდად შესანიშნავი ღეთის-მეტყველი. გამოჩენილი მე-ცნაერნი ჩალმერსი და შუევი სწავლობდნენ ერთად-ერთ სო-ფლის სკოლაში, სადაც ასეთ მძიმე გონებისანი და მიუძხვედარ ემაწვილებად აღმოჩნდნენ, რომ მასწავლებელმა, მოთმინებიდამ გამოსულმა, სკოლიდამ დაითხოვა, ისანი, როგორც უიმედო მძიმე გონებისანი.

წაწინებული შერიდამი სიყმაწვილეში დიდს უნიჭობას იხენდა. ამ გვარზე იყო ვალტიერ-სკოტი, რომელზედაც კდინ-ბურლის უნივერსიტეტის პროფესორმა დაღზელმა ეს სიტყვები სთქვა: „ჩვენ გონებისანი იყო და სამუდამოთვე. ჩვენ გონებისანი დარჩება“. გამოჩენილი ჩატერტონი გამოაჩინეს სკოლიდამ და ამ სიტყვებით გაუგზავნეს დედას: „ეს ასეთი რეკვენია, რომლიდგანაც თავის დღეში არაფერი არ გამოვა“. ჰოტი ბერნი ყმაწვილობაში მსოფლად სსუელით ვარჯიშობაში იყო მარჯვე. რობერტ კლეივი სიყმაწვილეში იყო სრული უმეტარი და იხენდა ენერჯიას მსოფლად ცუდ საქმეებში. მშობლებმა, რომ თავიდან მოიშორონ ამისთანა ცუდ-ზინისანი ყმაწვილი, გაგზავნეს ის მადრასში, საიდანაც შემდეგში მან დაუდვა საფუძველი ინგლისის ძლიერებას ინდოეთში. ვანთა მოკვარე გოვარდი მსგავსად კლეივისა, წამოგვიდგენს სამხიელ უმეტარის მაგალითსა, რომელმაც შეიდი წლის განმავლობაში კერაფერო ვერ ისწავლა სკოლაში, სტუდენტონი არ ირჩეოდა სსვა ყმაწვილებში არავითარი მღვლი ნიჭით, გაადა სიმადისა სსუელით ვარჯიშობაში და მუდმივი ყურადღებით თავის საქმეებში. გამოჩენილი გემფერი დევი არაფრით არ ირჩეოდა სსვა ყმაწვილებში; ამისი მსწავლეებელი კირდიუ ასე იტყოდა სოლმე ამ თავის მოწაფეზე: „როდესაც დევი ჩემთან სწავლობდა, მე სრულიად ვერ შევნიშნე მასში ის ნიჭები, რომლებიაც მან ასე თავი გამოიჩინა“. უატონ თითქმის უკანასკნელი მაგირდი იყო სკოლაში და მსოფლად იმით განიწიკეოდა ამხანაგებისაგან, რომ შემკული იყო დიდის მოძომინეობით და გაუტყნაობით საქმეში. არნოლდისაგან გამოთქმული არაი ყმაწვი-

ლებზე სრულიად მიეწერება დიდებსაც, სასკელდობრ ის, რომ „განსხვავება ადამიანებთ შორის მდგომარეობს არა იმდენათ ნიჭიერებაში, რამდენათაც ენერჯიაში“. თუ კაცმა ერთსელ შეითვისა სიმტკიცე და გაუტესლობა შრომაში, მაშინ მუდმივი ენერჯია მალე სდებს მის ჩვეულობრივ თვისებად. მცირედ ნიჭიერი კაცი, გულს მოდგინებითი შრომით და დაუღალავი ბევითობით, უთუოთ გაუსწრობს უნინჯიერებს, მაგრამ მოკლებულებს ამ თვისებებსა. საკვირველია, რომ ის ემაწვილები, რომელნიც სკოლაში ირიცხებიან უნინჯიერეს ემაწვილებად, ცსოვბაში რხებიან ჩვეულებრივ კაცებად; მაშინ, როდესაც, სხვები, რომელნიც სკოლაში ითვლებოდნენ მიუმხვედარ ემაწვილებად და არავითარ იმედს წარმატებისას არ იძლეოდნენ, — წყნარად, მაგრამ მუდმივ იხსნებოდნენ ჭიჭერდნენ ჰირველ ადგილებს საზოგადოებაში. ერთი ამ გვარ მძიმე და ჩლუნგ-გონების ემაწვილთან სწავლობდა ამ წიგნის დამწერი, სმალისი. მასწავლებლნი ყოველ საშუალებას სმარობდნენ, რომ როგორმე წაექეზებიანათ იგი სწავლასზე, მაგრამ ამაოდ. ვერც ცემით, ვერც ალერსით, ვერც ვერს დარბებით, ვერც ვერს მუდარებით ვერ დაიყოლიეს იგი, ასე რომ ყველამ აღიარა ის გაუსწორებელ რეგენად. მაგრამ, ამ გაუსწორებელ უმეტარში იყო დამალული რაღაცა ენერჯია მიზნის მიღწევაში, — ენერჯია, რომელიც იმდენად უფრო იხსნებოდა, რამდენათაც ეს ემაწვილი იხსნებოდა სსეულით. მხოლოდ საკვირველი ის არის, რომ როდესაც ის გამოვიდა თავისუფალ ცსოვრებაში, ძლიერ მალე გაუსწრო, ყოველ-გვარ მოქმედებაში, თითქმის ყველა თავის ამხანაგებსა, რომელნიც სკოლაში იმაზე ათჯერ უფრო კარგად სწავლობდნენ. უკეთესი

უშკვიდრესი და უუდიდესი ჩვენი განვითარება იმდენად არ მოიპოვება სწავლით სასაღსო სკოლაში ანუ გიმნაზიუმში, რამდენათაც საკუთარი თვით-აღზღვით სწავლებაში. ამიტომ არის, რომ მშობლები არ უნდა ჩქარობდნენ თავიანთი შვილების ნიჭების გასსასა. თქვენ მხოლოდ ყური უგდეთ, რომ მოსწავლემ, თავის უფალი ვარჯიშობით სსეულითი ძალებისა, მიიღოს კარგი სიმრთელე, დააყენეთ ის თვით გასსნილობის გზაზე, დიდის მზრუნველობით შეახვიეთ დაუღალავ შრომის, ბევითობას და დანაწიხნს თვითონ მოიპოებს...



თ ა ვ ი მ ე ლ რ ე

ცოცხალი მაგალითის მნიშვნელობა.

უკეთეს მასწავლებელთ რიცხვში უნდა ჩავთვალოთ კარგი მაგალითიც, რომელიც თუმცა მოქმედებს უსიტყვოთ, მაგრამ უფრო უკეთესია, ვიდრე თვით სიტყვითი სწავლა წვრთას და კარგ ჩნიკას, თქმა არ უნდა, შეუძლიან დიდი ღვაწლი გაგვიწიოს აღზღვაში. მაგრამ უმაგალითოდ სიტყვას არ შეუძლიან ძლიერი და ღრმა შთაბეჭდილება მოახდინოს ადამიანზე. ყველა უფრო იმას ითვისებს, რაც ნახა, ვიდრე გაიგონა; რომელიმე

შთაბეჭდილებას თვალი უფრო ძლიერ გარდმოგვცემს, ვიდრე ის, რაც გავიგონეთ ან წავიკითხეთ. აი ამიტომაც არის, რომ სიემაწვილეში მაგალითს ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს. ბავშვები შეუმჩნეველად ჰბამენ სხვის მოქმედებას და უნებლიეთ ემსგავსებიან იმათ. როგორი მიმართულებაც უნდა მისცეს ბავშვებს სკოლამ, მაინც სასლში ნასული მაგალითები მუდამ მოქმედებენ მათი სისათვის განვითარებაზე და მის მიმართულებაზე: ასე დიდია შინაური აღზრდის მნიშვნელობა. სასლობა ზრდის მთელ სალსსა: საზოგადო აზრები და კაცთ-მოყვარე მიდრეკილებანი სალსის იბადებიან სასლობაში. „ოთუ გვიყვარს სასლობა, გვიყვარს საზოგადოებაც“. სთქვა ბორკმა. კაცთ-მოყვარე მიდრეკილებანი და დაწუბილებანი გამოსულნი სასლობიდან ნელ-ნელა ფრთებს ისსმენ და ეუინებიან მთელს ქვეყანას. სრულიად უმნიშვნელო საქციელსაც, რომელიც მუდამ დღე განიმეორება, შეუძლიან იქონიოს დიდი გავლენა ბავშვების სისათვის განვითარებაზე და მის ავ თუ კარგ მიმართულებაზე; მშობლების სასათი მუდამ გამოჩანს მათ შვილებში; ესენი უფრო ძალე იმას ივიწყებენ, რაც გაიგონეს ანუ წავიკითხეს, ვიდრე იმ მაგალითებს შრომისა, თვით-პერობისა, სიყვარულისა და მორჩილებისა, რომლებსაც ისინი მუდამ დღე ხედავდნენ თავიანთ სასლში; ეს მაგალითები ცოცხლობენ და მოქმედობენ მათში მაშინაც კი, როდესაც სხვა ყველაფერი მათში დიდი სანია დავიწყებას მიცემულა. „ერთმა დედის კოცნამ“. სთქვა ვესტმა, „გამსადა მე მსატკაროა“. იმ პირველ-დაწყებით მიმართულებაზე, რომელიც ადამიანმა მიიღო სიემაწვილეში, დამოკიდებულია მომავალი ცხოვრების სრული ბედნიერება და

წარმატება. აი რა მიქსწერა ბეგსტონმა თავის დედას; „მე
ძუღამ ვგრძნობ კეთილ მოქმედებას. იმ ჰირველ მიძართულე-
ბისა, რომელიც თქვენ მე ჩამინერგეთო“ . ბეგსტონი ამ გვა-
რივე მადლობით ისხენიებს ერთს უბრალო ჰირსა, აბრაგამ
პლასტოუსს, თავის სიყმაწვილის ამხანაგს, რომელმაც თუშცა
კითხვა და წერა არ იცოდა, მაგრამ შეძეული იყო კეთილ-
განსმჯელობით და ბუნებითი მასკილ გონიერებითა. „უზირა-
ტესი და უკეთესი ღირსება ამ კაცისა“ — ამბობს ბეგსტონი,
„იყო მისი მოუსყიდელი ჰატიოსხება. ამ გვარი იყო ჩემი ჰირ-
ველი მასწავლებელი და უნდა გითხრათ, რომ იმაზე უკეთესს
ანუ მსგავს არავის ვიცნობდი.“ ძლიერ დიდი მსოფნელობა
აქვს პავშვის აღზდაში მშობლების მკაღლითს. უძეობესი გზა,
რომლითაც მშობლები ყველასე უკეთ ზედ-იმოქმედებენ თავი-
ანთ შვილებზე, არის შემდეგი: „ეცადეთ თავისი თავის სრულ-
ყოფას“ ჰატიოსხან კაცს ეოკელთის და ყველგან შეუძლიან
განვითაროს თავისი თავი: როგორც სასახლეში, ისე ქოსში,
როგორც ქალაქში, ისე სოფელში. ყველა ჩვეულებრივი სასელ-
ოსნო შეიძლება იყოს გამავრცელებელი ერთის მხრივ, შრო-
მის მოყვარეობისა, რსუობისა, კეთილისადმი ღტოლვისა და
ქეოზის მხრითა, უსაქმობისა, ზარმაცობისა და გარყენილობისა.
ყველაფერი ეს დამოკიდებულია თვით იმ ჰირების აგ-გარგია-
ნობასზე, რომელნიც შეადგენენ ამ სასელოსნოს, და მათი მო-
სერსებაზედ-კეთილად მოიხმარონ გარემოებანი თავიანთი თავის
სრულ-ყოფასთვის. მშობლების ჰატიოსხანი ცხოვრება და
სამართლიანი სასიათი შეადგენს უძვირფასეს სამკვიდრებელს
მათი შვილებისათვის.

ჩვენ ზემოთა ვსთქვით, რომ მხოლოდ სიტუაციები, მოკლებულნი მაგალითებს; არავითარ ნაყოფს არ მოიტყემათ. ჩვენ აქ ამის შესახებ მოვიყვანთ ერთი ქილის ჩიზგოლმისის, მშვენიერ შენიშვნას, რომელიც მან მისწერა თავის საცნობ ქაღალს სტოლს: „ჩემის იფიქრით,“ ამბობს ის—„თუ გვსურს, რომ ესა და ეს საქმე გაკეთდეს, თვით ჩვენ უნდა მივცეთ პირველი მაგალითი, ე. ი. ყველაზე წინ თვით ჩვენ უნდა ვიწყეთ და ვაწარმოოთ ეს საქმე“ ყველაზე უკეთესი მუშაკის არ არის, რომელიც მსკერ-მეტყველურად დაპირაკობს, ანუ რომელსაც გაჭყავს საზოგადოებაში ძალაღი აზრები, ზრამედ ის, ვისი მოქმედება იძლევა მრავალ კარგ ნაყოფს. ვისაც ჭკმშარიტად უყვარს კაცობრიობა, ის მუდამ შეიძლებს რომელიმე საქმის დაწყობას და გაკეთებას მის სასარგებლოდ, რაც უნდა დაბრკოლებანი დაუხვდნენ წინ და რაც უნდა დაბალი ხარისხის ხატ-რონი იყოს თვითონ. აი რას ამბობს ერთ ამ გვარ მოქმედებზე აქიმი გესრი, რომლის ცხოვრება მას გაუხდა მაგალითად: „ერთხელ მე შემთხვევით მომიხდა ერთის სურათის ნახვა, რომელმაც ძლიერ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ეს სურათი წარმოადგენდა ერთ მეკლანის სადგურსა. მეკლანის სასე გამოჯახტავდა სიმტკიცის და კეთილს სულობას; ის იკვდა, გარემოცული დაგლეჯილი ბავშვებით, საქმით სელში და ასწავლიდა მათ. ჩემი ყურადღება ძლიერ იყო აღგზნებული; მე მიუხასლოვდი სურათს და წავიკითხე, რომ ეს მასწავლებელი იყო მეწაღე ჯონპაუნდსი, რომელიც საკუთარი ოფლით ღუკმა პურის სამუშაოსაც იღებდა და ამავე დროს ასერსებდა ესწავლებინა ყველასაგან დატოვებული ბავშვებისათვის, რომლი-

თაც ის იხსნიდა მათ სიგლასაკისაგან და გარყვნილობისაგან. მე შამრცხვა ჩემის თავისა, როდესაც მომაგონდა, რამდენის გაკეთება შემიძლო და როგორ ცოცხა გავაკეთე. მაშინ მიუბრუნდი და უთხარი ჩემს თანა-მეგზავს: „ეს კაცი ღირსია იმ გვარი უდიდესი პატივის-ცემისა, როგორც ოდესმე დავისმე მისცემია მთელ საინგლისოში!“ მე გამოვიკვლიე მისი ცხოვრება და ვნახე, რომ მაცხოვრის სწავლას მოუპოვებია ამ კაცში ჭეშარიტი მიძეოლი და მოწაფე. აუშვების მოსაზარავად ჯონ პაუნდსი არასოდეს არ სძარბდა ძალ-დატანებისა ზომებს, მხოლოდ ზოგჯერ სერსით იზიდავდა ემაწვილებს თავისკენ, მაგალითად, ცხელი კარტოფილის ჭმევით, რომელიც ირლანდიელებს ძალიან უყვართ. ეს საწყალი კაცი უფრო მეტი დიდების ღირსია, ვიდრე ის გმირები, რომელთა მოქმედება ნაქებისა პოეტებისაგან და რომელთა სასულის სამარადისოთ განმტკიცებისათვის აღაშენებენ ქეგლებსა.

კარგ მაგალითებს უჭირავსთ არა უკანასკნელი ადგილი კაცის სასიათის განვითარებაში; სწეობითი მხრით ჩვენი სასიათი გაუგებრად იჭრება იმ ნიმუშების კალაპოტზე, რომელნიც ჩვენ გარს გვახვევია. ეჭვი არ არის, რომ ის კარგი წესები, რომლებსაც ჩვენ გადმოგვცემენ და გვასწავლიან, იფრად სასარგებლოა, მაგრამ კარგი მაგალითება და ნიმუშები უფრო უკეთესია, იმიტომ რომ ესენი თვალ-საწინოდ გვაუწყებენ საქმით სიბრძნეს და ცოდნას, მაშინ, როდესაც ცუდი მაგალითი არღვევს იმას, რაც გაკეთებულა კარგი რჩევით. აი რა მიზეზით გვძარბებს დიდი სიფრთხილე ამხანაგების არჩევანში, განსაკუთრებით ახალ-გაზდობისათვის, რომელნიც, თითქმის რა-

დაც უხილავი ძაღვის დატანებით და ყოველის შეუმჩნეველად ითვისებენ ერთმანეთის მიდრეკილებებს.

ფეფორტი ასე მაგრად იყო ამაში დაჯერებული, რომ უმჯობეს რაცნავედა სრულიად უსახოგადოებოდ ყოფნას, ვიდრე აკონანების წრეში გარეკას. ამასვე სწერდა პოლინგუული ერთის თავის ახალგაზდა მეგობარს: „მაგრად დასდევით იმ წესზე, რომ უმჯობესია მუდამ მარტო ყოფნა, ვიდრე გარემოცული ვიყვნეთ ცუდი ამხანაგობით“. ამიტომ ახალგაზდებისათვის საჭიროა იმ გვარი საზოგადოება, რომელიც განვითარებით სდგას მასზე ძალზე. ფრენსის გორნერი აი რას ამბობს იმ სარგებლობასე, რომელიც იმან გამოიტანა ზატოხანს და განათლებულ ხალხთან ზიარ-ყოფით: „მე თამამად ვაღვიარებ, რომ გონებითი განვითარება მეტი შევიძინე ამ კაცებისაგან, ვიდრე თვით წიგნებისაგან“.

მამაცობის მაგალითი ძლიერ მოქმედებს კაცზე: მამაცის წინამძღოლობით მსხვედების სრულიად მსდალნიც და სშირად მსოფლიოდ ერთი მოგონება და სსენება გპირთ კაცებისა ზბადავს მათში დაუჯერებელ კაც-კაცობას. ერთკამ, წინამძღომელმა პაქმელებისა, ანდერძი დასტოვა, რომ იმას სსეულის კანი გადაკვრად დოლისთვის, რომ ამ გვარი მისი მუდამი მოსსენებით და მოგონებით გაამაგროს საშხედრო ქველობანი თავისი მემკვლელებისა. როდესაც გარდაიცვალა ენიონის შთავარი სკანდერბეგი, მასინ ოსმალებმა გამოაცხადეს სურვილი, რომ ყველა მათმა მხედარმა ატაროს გულსე ზატარ-ზატარა ნაწილი მისი ძვლებისა, იმ გვარი სიმამაცის ასახსნელად, რომელსაც სკანდერბეგი ანა ერთხელ იჩენდა ომში. გამოჩენილი კაცების აღწერამ

უნდა გვამცნოს ჩვენ, თუ როგორ გაიხსნა და შეიმუშავა ამა და ამ კაცის ხასიათი; ამ გვარ წერილებს მაშინ შეუძლიან მოგვიტანოს აღმატებით დიდი სარგებლობა, როდესაც იგინი ცხადათ წარმოადგენენ მკითხველის წინაშე იმ კარგ მხარეებსა ამ ხასიათისას, რომელნიც უნდა გახდნენ ჩვენ მისაბამავ ნი-მუშად. მაგალითად, ჩვენი წინა-პირების ცხოვრების აღწერილე-ბების გაცნობას იმ მხრით შეუძლიან სარგებლობა მოგვცეს, რომ შესწავლის შემდეგ შევითვისებთ იმ მხარეებს მათის მოჭ-მედებისას, რომელნიც ღირსნი არიან მიბამვისა. კაცი, რომლის ცხოვრების აღწერა მოგვითხრობს ამით მაღალ-სარისხოვან საქციელებს, უნდავძებნოს შთამბავლობას კეთილის დაუშორებელ წყაროს, რადგანაც ეს ამისი მოჭმედება სდება სამაგალითო ნიმუშად მომავალი შთამბავლობისათვის. ამ გვარი ცხოვრების აღწერის კითხვა აღვწინის ადამიანში მიბამვის სურვილს, ე. ი. აღვწინის მასში სურვილს განამტკიცოს თავისში აღწერილი ხა-სიათი, შეიმუშავოს და სრულ-ჟეოს იგი; ამ გვარი წიგნი და-უფასებელი განძია და, როგორც იტყვის მილტონი, ეძვსავ-სება ძაღოვან სულს, რომელსაც შეუძლიან გაამსხეოს სრწინდი სხეული. კარგი ცხოვრების აღწერა მუდამ ზედ-მოჭმედებს მკითხველზე, აღმაღლებს მის სულს და მიჰმართავს იმას კეთილსადმი. მაგალითად, ვერც ერთი ახალგაზდა ისე ვერ წაი-კითხავს ბეკსტონის, ანუ არნოლდის ცხოვრების აღწერებს, რომ არ იგონოს კეთილი მოჭმედება თავის ჭკვა გონებაზე, გულზე და განმცოცხლებელი ძლიერება თავის უკეთეს გან-ძრახულებასში. ბეკსტონის და არნოლდის ცხოვრება აღვწინის ადამიანში თავის თავზე სასოებას, აუხსნის მას იმას, რა უნდა

იუოს იგი და რა უნდა გააკეთოს მან, გაამხნევეს მისი მედებს და აღამაღლეს მის სიცოცხლის მიზნებს.

სამუდელ რომილი თავის ცსოვრების აღწერაში აშობს, რომ ჩემსე ძლიერ დიდი გავლენა აქონია საფრანგეთის პირველ და წარჩინებულ კეზარის დაგესსოს ცსოვრების აღწერამა: „მე შემთხვევით ჩამივარდნენ სელში ტომასის თსზულეხანი,“ აშობს იგი, „რომლის ქება დაგესსოზე ძლიერ განმაკვირვა; გამოჩენილი მოქმედის ცსოვრებამ აღგზნა ჩემში დიდების მოყვარება და მიხენა ახალი გზა დიდებისადმი მისაღწევად. საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, რომ კარგს მაგალითს ვეკლგან და ყოველთვის აქებს ძლიერი ზედ მოქმედება მთელ საზოგადოებაზე. როგორც ცსოვრებაში ჩვენ უნდა ვეკებდეთ კარგ საზოგადოებას, ისე მწერლობაში საჭიროა საკითხავად მსოლოდ იმ გვარი წიგნები ამოვირჩიოდ, რომელნიც შეგვიწვიან ხასიათის შემუშავებაში და გონების განათლებასში. წიგნი, რომელშიაც აღწერილია რომელიმე გასაკვირველი მოქმედება, ხშირად ისეთს დიდს შთაბეჭდილებას ახდენს წამკითხველზე, რომ ღვსის მასში ძალებს, რომელნიც იმ დრომდე მიძინებულნი იყვნენ. მაგალითად, აღფიერში მწერლობისადმი სურვილი გაიღვიპა მსოლოდ ჰლეტარსის წარკითხვის შემდეგ. ასე და ამ გვარად დიდებული მოქმედება ერთისა ღვხნის შრომისადმი შეარეს, მეორისა-მესამეს და ასე ბოლომდე. აი რაში მდგომარეობს მაგალითის ძალოვნება: „იგი მულამ ღვხნის ჩვენში განცვიფრებას და ამის შემდეგ მიზაძეას.“

ჯონ სინკლერის მოქმედება, რომელიც იუო კარდამეტებით შრომის მოყვარე და ენერგიული კაცი წარმოგვიდგენს

უკეთეს მაგალითს იმ კეთილი გავლენისა, რომელიც მას ქმნდა თავის დამოკიდებულებასზე და თანა-მემამულეებზე; ეს იყო უკვლასზე დაუღალავი მუშაკი ევროპაში. იგი კეთილ-შობილთ შვილი იყო, ერთ მივარდნილ მხარესა, სადაც შუქი განათლებისა ვერ კიდევ მიღწეული არ იყო. ვინ სინკლერი იყო თვრამეტი წლისა, რომელსაც მან სელი მოჰკიდა იმ წესების განხორციელებას, რომელნიც მისი თქმით უკეთეს მდგომარეობაში მოიყვანდა მის სავარჯელ სამშობლოსა და რომელნიც შემდეგში გავრცელდნენ მთელ შოტლანდიაში.

იმ დროს, მის სამშობლოში, კესნესში, ხვნა-თესვა საცინაო მდგომარეობაში იყო; მინდვრებს არავინ ამუშავებდა, მიწა არასივრეს ნაყოფს არ იძლეოდა, მემამულენი ასე ღარიბნი იყვნენ, რომ ძლივს-ძლივობით შეძლათ ერთის ცხენის შენასვა და საცხოვრებლად ერთი საწყალის ქოსის დადგმა; დედა-კაცები, მძიმე და შეუთერებელი მუშაობისგან ძლიერ დასაზრუნნი იყვნენ, ასე რომ, როცა გლეხს ცხენი უკვდებოდა, იგი რაც შეიძლება, მალე ცოლს ირთავდა, რადგანაც ცოლი ცხენის მაგივრობას უწყევდა. ამ მხარეში არ იყო არც ვახუშტი, არც ხადები და მოგზაურნი ფონით გადიოდნენ მდინარეებში. უმთავრესი გზა კესნესში გადიოდა მალაღ ლმარო-დაღმართიან მთებსზე და ამასთან სწორეთ ზღვის პირად. ასაღვანდა სინკურმა მოისურვა ასალი ვისი გაყვანა, მაგრამ განძრავა მისი უკვლამ მიიღო მიუნდობლობით და დაცინვით. იგი. მაინც არ შეუშინდა ამ გვარ დაბრკოლებას, შეკრიბა სუთასი კაცი ჭკორთი ზაფხულის დიღას შეუდგა მუშაობას; საკუთარი მაგალითით ამხსნებდა მუშებს და უმცირეს ხანში გზა, რომელზედაც წინ

ერთი ცხვარი ძლივს გაივლიდა, ახლა იმდენათ გაუგებეთეს, რომ ცხენით და ურმით შეიძლებოდა სიარული. ამ გზას მიჰყვანდა სიგრძე ორმოც-და-ცხრა კერსი. ამ გვარმა შრომის მოყვარეობამ და ენერჯიამ დასძლიეს ყოველი გონების წინა-აღმდეგნი სჯანი და სინკლერი ცოტასნის შემდეგ, ახლა კი ყოველის და-უბრკოლებლივ, შეუდგა ახალი გზების გაყვასას, წისქვილების და ხიდების გამართვას, ქაობების გაშრობას და თავისი სამშობლას გაუწვდენელი მინდვრების შემუშავებს. ამან შემოიღო ახალი ხენა-თესვა-შენა და ვინც ეოხილად სწავლობდა და მარდათ ითვისებდა, ამ ახალ წესებს, იმათ სშირად პატარ-პატარა სახეურებს ურიგებდა. ასე-და-ამ-გვარად სინკლერმა გამოავლინა თავისი თანა მუშაძელები და დაწეებისა სრულიად ახალი ცხოვრება. სინკლერმა იქამდი წინ-წასწია კერისის მხარე, რომ იგი თავისი კეთილ-დღეობით, ხენა-თესვით, მშვენიერი გზებით და სხვათი გასდა მისაბამავი ნიმუშად მთელი მოტლანდიისათვის. ჯონ სინკლერის დრომდე კესსერსში იფოსტა მიჰყვანდათ კვირასში მხოლოდ ერთსეა, სინკლერმა კი ასე მოაწყო საქმე, რომ მუდამ დღე მიჰყვანდათ. ამისი გასაკვირველი გამბედაობა ანდა-ზათაც კი გარდიჭდა. სინკლერის მოქმედება სულ-სულ ვრცელდებოდა. როდესაც ამან უურადღება მიაქცია თავის ქვეყნის ნაწარმოებს — მატელს, მაშინ ჰოვას მასში ბევრი ნაკლულებანება და განიძნა, რათაც უნდა დაუდეს ეს საქმე, გაუგებეთეს ეს წარმოება. ამის გულისათვის მან დაარსა მატელის შემუშავების საზოგადოება და თავისი ხარჯით გამოიწერა რვაასი კარგი კრების ცხვარი. ამ დაუღალავის მეცადინეობის შედეგი ის იყო, რომ სინკლერმა გაავრცელა მოტლანდიაში ახალი და ჩინებუ-

ლი ჯიშის ცხვარი, რომლის გამრავლებას შოტლანდიელები ამას წინ შეუძლებელ ჰყოფდნენ; სინკლერმა ესე კარგად წაიყვანა საქმე, რომ რამოდენიმე წლის განმავლობაში გააშენა ამ ჩინებული ჯიშის ცხვარი სამას ათასამდე. ამის შემდეგ შოტლანდის მიწებმა, რომელნიც აქამომდე არავითარ შემოსავალს არ იძლეოდნენ, იწყეს ფურად დიდი შემოსავლის ძლევა. ამას გარდა სინკლერი ოცდაათ წლოვანობაში შევიდა მარლბენტში. აქ პიტმა შენიშნა მისი სიყვარული ჭკეუნიის გაუწყეთესობისადმი. თანა-გრძნობა გამოუცხადა და სელის მომართვა აღუთქვა. სხვა კაცი იქნება ამ თანაგრძნობას მხოლოდ თავისი პურად სარგებლობისათვის მოიხმარებდა, მაგრამ სინკლერი არ ეძებდა მატონის ტემს, დიდებს და სთხოვდა პირველ მინისტრს ჰიტს შემწეობას. სალსონსური მიწის შემუშავების კომიტეტის წევრმა არტურ უნგმა პასუხად უგო: „ეს კომიტეტი შეიძლება დაარსდეს მხოლოდ მთვარეზე,“ მაგრამ სინკლერი სასოგვეთებს არ მიეცა და ბეჯითად შეუდგა საქმეს, მალე ეველამ ცხადით დაინახა იმისი დაუღალავი შრომა ჭკეუნიის სასარგებლოდ და მარლბენტის უმეტესობამ მიიღო მისი წინადადება; კომიტეტი დაარსეს და თვითონ სინკლერი დანიშნეს პრეზიდენტათ ამ კომიტეტისა. ამ საქმის შედეგები არ საჭიროებენ ჭბას; სკმარისი იქმნება თუ გიტყვით, რომ უმეტესი ნაწილი შეეროიული სამეიფოს (ინგლისისა და შოტლანდიისა) მიწებისა დახსნილიყვნენ სრული გავერანებისაგან. არა ნაკლებ ეურადლებას აქცევდა სინკლერი თევზთ მონადირეობას, რომელიც მისი მეცადინეობით შემდეგში ძალიან გავრცელდა და წარმატებაში შევიდა. სინკლერი თავის ენერჯიას და შრომის მოყვარეობას ეველას საქ-

მეში თავს-გამოდებით სმარობდა: აგულისებდა ზარმაცებს, და ამხნეკებდა მოაქმედებს, წარმატების იმედეს აძლევდა იმედ-დაკარგულებს; ერთი სიტყვით მუშაობდა და მოაქმედებდა ეკლას-თან. როდესაც ინგლისში საფრანგეთთან ომს მოელოდნენ, სინკლერმა წინადადება მისცა პიტს შეადგინოს ჯარის ერთი ჰოლკი. მან მართლაც შეეწინა ექვსასი კაცი, რომელიც შეძგ-ში გასდა ათასი; უნდა ვსთქვათ, რომ ეს ჯარი შეგულისებუ-ლი იყო იმავე კეთილშობილური სამშობლოს სიყვარულით, როგორც თვით ამათი წინა-მძღობელი. ამავე დროს სინკლერი ითვლებოდა შოტლანდიის ბანკის განმგედ, მატელის საზოგა-დოების თავ-მჯდომარედ, ქალაქ ვიკას თავად, ბრიტანიის თევზ-მონადირეობის საზოგადოების განმგედ, საზინის უფროსად, ჰანლაშეტში კენსესის მხრის წარმომადგენელად და დასასრუ-ლად მიწის შემუშავების კომიტეტის პრეზიდენტად. თუმცა ასე მრავალ და დიდ საქმეებში იყო გართული, ისი მაინც დროს ჭმოულობდა თხზულებები ეწერა, რომლებმაც სამართლისოდ დაუძკვიდრეს მას დიდება, როდესაც ამერიკის ელჩმა რუმმა ჰკითხა გოლგამს, თუ რომელი თხზულებაა ეკლასზე უკეთესი მიწის შემუშავების შესახებ, ამ უკანასკნელმა დაუსასვლა ჯონ სინკლერის თხზულება. როდესაც ამავე რუმმა ჰკითხა, ფინან-სების შესახებ, რომელი თხზულებაა ეკლასზე უკეთესი, პასუ-ხად მიიღო ისევე ჯონ სინკლერის თხზულება „ესსემპლიფიკა შე-მოსავალი“. მაგრამ უუდიდეს თხზულებად ამ გამოჩენილ მწერ-ლისა იყო ჯ არის „ესტატისტიკური ცნობანი შოტლანდიაზე“, რომელმაც შეუძლებელია, რომ ყოველი კაცი არა გაიტაცოს. ჯ არ ადგზნას მოაქმედებაზე. ეს აღმატებით მშვენიერი თხზულება,

რომელიც შესდგება ოც-და-ორი წიგნიდამ, შეადგენს უკეთეს მქნილებას ამგვარ თხზულებათა შორის, რომელიც კი ოდესმე დაწერილა ქვეყანასუ. ყოველ თავის დაწყობილებაში სინკლერი ეძებდა არა საკუთარ სარგებლობას, ანუ ჰესტივის ცემის მოპოვებას, არამედ და მხოლოდ იმას, რომ ამ დაწყობამ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანოს მის სამშობლოს. ასე და ამ გვარად, ეს ენერგიული და აღმატებით სასარგებლო მუშაკი წარმოგვიდგენს დიად მიზაკის მაგალითს. მთელ თავის სიცოცხლეში სინკლერი შრომობდა თავის თანამემამულეების სასარგებლოდ და ჯილდოთ მიიღო — არა სიმდიდრე, არამედ უფრო მეტი ბედნიერება და შეგნება, რომ თავის მოვალეობა აღასრულა. სინკლერი არც სასლობას ივიწყებდა და მისი შვილები: ვაჟები და ქალები განზარდნენ იმ ღირს ადამიანებად, როგორც იყო თვითონ დიდებული მამა. იგინი იყვნენ მისი უკეთესნი მანუგაშეუღნი, ღრმა მოსურვებულებად და არც ერთს მათგანს არ უწყენინებია მამისათვის არც საქმით და არც სიტყვით.

ზნეობითი თვისებანი და კეთილი სასიათი შეადგენენ გვირვინს და დიდებას ადამიანის სიცოცხლისას და უუძვიროფასეს სამკვიდრებელს საზოგადოთ ადამიანის ბუნებისას; კარგი სასიათი გვამაძლებს და გვანიჭებს ჩვენ ღირსებას, რა საქმის აღმასრულებელნიც უნდა ვიყვნეთ. სასიათს აქვს უფრო მეტი ძლიერება, ვიდრე სიმდიდრეს და აჯილდოვებს თავის ჰესტივის ყოველ-გვარი ჰესტივის-ცემით.

ამბობენ, რომ ცოდნა არის ძალა, მაგრამ უფრო მართალი იქნება თუ ვიტყვით, რომ აუცილებელი ჰირობანი ნამდვილი და ყოვლად მძლეველი ძალისა არიან და იქნებიან მხოლოდ

ზნეობითი თვისებასი. ჭკვა-გონება ცივი-გულით, ნიჭიერება უზნეობოდ, ხელოვნება არ კეთილი ხასიათით, — ეველას ესენი, იწნება, შესაძლო იყოს წოდებულ იქმნენ ძალეებად, მაგრამ, მხოლოდ იმ გვარ ძალეებად, რომელნიც უფრო მიმართულნი არიან ბოროტებაზე. სიძარტლე, პატიოსნება და კეთილგულობა შეადგენენ უპირატეს კუთვნილებას ეველას კარგი ხასიათისას, ერთად ხასიათის სიმტკიცესთან კი, ეს თვისებანი აძლევენ ადამიანს დაუძლეველ ძალას, რომელიც ცხადდება დევნაშიაც და შეუდრეკლობაშიაც. ეველას დაბრკოლებებთან და უბედურებებთან შეტაკების დროს. ამიტომ, კარგი ზნეობის მოპოებას, როგორც ცხოვრების ერთ უზენაეს მიზანთაგანს, უნდა ცდილობდეს ყოველი ადამიანი ძალადი მიზნების ქონვას ცხოვრებაში, მაშინაც კი არის კარგი, როდესაც ჩვენ არ ძალგვიძის სისრულეში მოვიყვანოთ იგინი. ტყუილად კი არ ამბობს დიზრალი: „ესული, რომელიც არ ფრინავს ძალად ფარდებში, წინათვე დანიშნულია ქვემძრომელობისათვის“.

თავი მესამე.

ფული და მისი მოხმარება.

ადამიანის გონიერება ცხოვრებაში ხშირად იმით გამოიწინობს, თუ ის როგორ იძენს, იზოგავს და სარგავს ფულსა. აუქნა ფული არ შეადგენს უმთავრეს მიზანს ადამიანის ცხოვ-

რებისას, მაგრამ ის, მაინცაარა იმისთანა მცირე შესანიშნავი საგანია, რომ სრულად უუურადღებოდ დავტოვოთ. სშირად მხოლოდ ფულით მოიპოება სასიამოვნო და კეთილ-მოქმედებით, სავსე ცხოვრება. კარგად ფულის მოხმარებაზედ არიან დამოკიდებულნი მრავალნი უაღრესნი თვისებანი ადამიანის ხასიათისა, როგორც მაგალითად: გულ-კეთილობა, პატიოსნება, მართალ-სულიანობა, თავ-განწირულება, დამსოგველობა და წინად-გან-მსიდეველობა. ბიწიერებისნი, როგორც მაგალითად: დაუდევრობა, წარმგებლობა, უთაურობა მომეტებულად მოიპოებისნი იმ გვარ ადამიანებში, რომელთაც არ იციან და არ უყვართ ფულის კანონიერად მოხმარება, ასე რომ ამ შემთხვევაში მართლად გენრი ტაილორის შემდეგი სიტყვები: „ფულის კანონიერად შეძენა, მისი გამოზოგვა, დახარჯვა და გასესხება შეიძლება დაეთვალოთ თითქმის უტყუარ ზომად კაცის ღირსებების დაფასებაში“, ცხოვრებაში წარმატებისათვის, ადამიანისაგან უწინარეს ყოველთა ის მოითხოვება, რომ იგი ახმარებდეს თავის ძალებს თვით-აღზღვას და თვით-პყრობილი ხასიათის გასსასა. უდიდესი კეთილ-მოქმედება არის-გამარჯვება თავის თავზე. ეველას საღებები, მოკლებულნი წინ-მხედველობას უწინარეს ყოველთა საჭიროებენ იმ თვისების შექმნას, რომელსაც ეძსიან თვით-პყრობას, ე. ი. ამ ნიჭის გახსნას, რომელიც გამამხვერპლინებს ღღევანდელ მცირე წეტარებას, მომავალში მომეტებულის მიღებისათვის.

ერთი უუდიდესთაგანი საზოგადო კითხვა, რომელსაც ჩვენ აუცილებლად დიდი უურადღება უნდა მივაქციოთ, არის თვით-პყრობის გახსნა ჩვენს საღსში. „გონიერება, დამზო-

გველობა და წესიერი მეურნეობა“; იტყოდა მებაშმაკე-ფილო-სოფოსი სამუელ დრიუ, „აი უკეთესნი იარაღნი გარემოებე-ზის გასასწორებლად უბედურების დროს: ეს იარაღები ყველა-სათვის სელ-მისაწდომი და უკეთესი სამეურნალო წამლები არიან ყველა უბედურების წინაღმდეგ“. სოკრატმა სთქვა: „ვისაც ჰსურს წინ წასწიოს მთელი ქვეყანა, ჯერ იმან საკუთარი თავი წაჰსწიოს წინაო“. ვინც ღღე-ღღებზე ცხოვრობს, იმათ მუდამ უკანასკნელი ადგილი ეჭირებათ საზოგადო-ებაში და მუდამ უძლოურნი და სხვაზე დამოკიდებულნი იქნებიანო. ესენი, მოკლებულნი იმ ძალას, რომელსაც აუ-ცილებლად აძლევს ადამიანს გამომოგვილი და შენასული ფული, მუდამ შიშში არიან რომელიმე უეცარი და მოულოდნელი უბე-დურებისაგან. „ადამიანებია“, უთხრა კობდენმა ერთს მუშას, „მუდამ ორ დანად იყოფებოდნენ და ასლაც იყოფებიანო; დამსოგვლებად და წარმკებლებად; პირველნი მათგანი ინახა-ვენ, იზოგვენ; მეორენი კი ჰხარჯავენ და ფანტვენ. სახლები, წისქვილები, სიდეები, სომადლები და საზოგადოთ ყველა უუდი-დესნი საქმენი არიან შექმნილნი პირველებისაგან, ისინი კი, რომელნიც უნაყოფოთ აბნევენ თავიანთ ქონებას, მუდამ და-მოკიდებულნი არიან დამსოგველებზე. ამ გვარია ბუნების და განგების დადგენილობა და მე მატყუარა ვიქნებოდი, თუ დაუ-დევარ, უსაქმო და განუსჯულ საღვის წარმატებას დაპირდე-ბოდი“. „ითიქმის ესევე უთხრა ბრიტმა მუშების კრებას; მე ვიციო მსოფლოდ ერთი უტყუარი გზა ყოველ-მსრვი გაუმ-ჯობესობისა; ეტადენით შეიძინოთ შეძგევი თვისებანი: შრო-მის მოყვარეობა, სომიერება, დამსოგველობა და ჰატიანება.

მრავალი და ხან-გრძლივი ფიქრის და დაკვირვების შემდეგ, მე გარწმუნებთ თქვენ, რომ ჩვენი ძვირფასი სამშობლოს ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესობა შეუძლებელია იმ გზას გარდა, რომელსაც ბევრი დიდი სანია დაადგა და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ შეითვისოთ ზემოდ-მოყვანილი თვისებანი და ნდობა საკუთარ ძალებზე“. დამზოგველობა იმისათვის, რომ ადამიანმა მხოლოდ ფული მოაგროვოს, სრულიად უმნიშვნელოა. მაგრამ ესევე დამზოგველობა, მხოლოდ იმისათვის, რომ მოვიპოვოდ სსვისაგან დამოუკიდებლობა, არის ერთი უუტყუარესი ნიშანი ადამიანის მტკიცედ შემუშავებისა. დასასრულად, თუ დამზოგველობის მიზნად ადამიანმა ის დაიდვა, რომ იზრუნოს კეთილ-დღეობის და წარმატებისათვის, მაშინ ამ დამზოგველობას ეძლევა აღმატებულებითი ხასიათი. ფრენსის გორნერს ასე უთხრა მამამ, როდესაც ის უნდა პირველად გამო-სულიყო თავის უფალ ცხოვრების ასპარესზე: „სიტუებები მაკლია ქებით შევამყო დამზოგველობა, რადგანაც იგი პირველი იარაღია მშვიდი, შეურყეველი და დამოუკიდებელი კეთილ-მოქმედებისა“.

ვევლას უნდა ცხოვრებდეს შეძლების-და-გვარად. ეს ჩვეულებას არის ნამდვილი საბუთი ადამიანის პატიოსნებისა, რადგანაც, ვისაც არ შეუძლიან პატიოსნად იცხოვროს თავის ხარჯით, იმან უნდა უპატიოსნოთ იცხოვროს სსვისი მოხატვანით და ოფლით. დაუდევარნი მუდამ უბრალოდ ხარჯვენ ფულს; წინათვე იწყობენ საქმეს, ხარჯვენ თავიანთ სულ-ფასს თუ შემოსავალს ამათ მიღებად და ყოველი ამით ცვივდებიან ვალებში და სხვასთან დამოკიდებულებში. როგორც, (ინგლისური ანდა-

ზისა არ იყოს) „ცარიელ პარკს არ შეუძლიან სწორედ დგომას“, სწორედ აგრე, მოკლებულია თავის უფლებას ის ადამიანი, რომელიც ჩაკარდა ვალში. ამ მდგომარეობაში ის ქაგრკავს თვით-შატივის-ცემას, კარდება მასესხებელთა. კლანჭებში და საზოგადოთ ხელ-ფებს იკრავს, რადგანაც მაშინ მას აღარ შეუძლიან შატონი იყოს თავისივე თავისა, აღარ შეუძლიან თამამად ყველას თვალი გაუსწოროს. ვალში ჩაკარდნილი კაცი მხელადღა დარჩება შატონისანი: ამიტომაც ამბობენ, რომ, სიცრუე ზის მოკალის კისერზედაა“. გონიერი კაცისათვის მხელი არ იქნება უკუ აგდოს შირველი შემთხვევა ვალის აღებისა; წინაღმდეგ შემთხვევაში, შირველ ვალს მოსდევს მეორე, მესამე და მალე საწყალი მოკალის საქმე ასე აირეკ-დაირეკა, რომ შემდეგში მშიბე შრომა და მთლად ძალის-ხმევეც კელარას უშეკლიან. მხატვარი გილონი ამბობს, რომ ყველა ჩემი უბედურებასი იმ დღიდანმ დაიწყო, როდესაც მე შირველად ვალი ავიღეო. ამის შემდეგ ჩემ ცხოვრებაში ერთი ვალი მეორეს მოსდევდა და ისე ვაკები მათ მახეში, რომ კერა გზით კელარ გავნთავის-უფლდი მათგან. ვალში მეოფის ქკვა, თითქო რილაცათი. დატვირთულია, მოკლებულია მოქმედების ძალას და მუდმივი თავის დამცირებით მასესხებელის წინაშე უფრო იფუტებს თავსა. აი რა მისწერა გილონმა ერთს ჭაბუკს, რომელიც შირველად სამსახურში შევიდა: „თავის დღეში არ უნდა ინებოთ ის სიამოვნება, ქეიფი ანუ დროს გატარება, რომლისათვისაც თქვენ ფულის სესხვა დატვირდებათ. თავის დღეში ნუ ივალებთ ფულს, ეს ამცირებს ადამიანსა. ფიბტი, იყო საწყალი სტუდენტი, (უმალღესი სასწავლებლის შაკირდი) მაგრამ მუდამ უარს ჭყოფ-

ღ მშობლების საჩუქრებსა. აჭიმი ჟონსონის ფიქრით უდრო-
კალი არის ნამდვილი დაღუპვა. იგი ასე ამბობდა: „კალი
უბედურებაა ადამიანისათვის. სიღატაკე აწითმევს კაცს ყოველ
საშუალებას, კეთილი ჯიჲს და ისე აუძღურებს სხეულით და
ზნეობით, რომ ყოველი ჩვენი ძალებით უნდა მოკერიდნეთ
სისაწყლეს. მას მეცა ჩვენი ჰირველი ზრუნვა იმაში იქნება,
რომ არავისთან კალით დამოკიდებულნი არ ვიყვნეთ. გავ-
ბედოთ და გადავწყვიტოთ არ ვიყვნეთ ღატაკნი და საწყალნი,
ზომიერად ვიცხოვროდ და ზომიერად ვხარჯოთ, სისაწყლე და
სიღატაკე არის უდიდესი მტერი კაცობრიობის კეთილ-მეოფ-
ლობისა: იგი ამსობს თავისუფლებას, იგივე იმას შერება, რომ
კეთილ-განძისკანი კაცს კეთილზე კერ მითმართავს. დამზო-
გველობას შეგვიძლიან უწოდოთ არა თუ მხოლოდ მშვიდ და
შეურყეველი ცხოვრების წყაროდ, არამედ და კეთილ-მოქმე-
დებისათვის მიზეზის მიმცემად და ვინც, თვითონ საჭირებს
სხვის შეწყენაში და ხელის მომართვაში, რაღა თქმა უნდა, რომ
ის სხვას კერ უშეკლის; რომ შაკვეძლოს სხვისთვის შეკლა და
ხელის მომართვა, ჯერ თვით ჩვენ რაზე უნდა ვიქონიოთ! . . .

ეველა კაცის მოვალეობაა სასტიკი და მუდმივი ყურად-
ღებით თვალი ადევნოს იმას, თუ როგორ მიდიან მისი საქმე-
ები და დაწვრილებითი ანგარიში იქონიოს ეველა თავის გასა-
ვალისა და შემოსავალისა. ამ შემთხვევაში უმცირესი არით-
მეტრიკული ცოდნაც გარდამეტებით დიდ სარგებლობას მოუ-
ტანს კაცს. გონიერება მოითხოვს, რომ თავის ცხოვრება ისე
მოაწყუოთ, რომ იგი ცოტათი მაინც შემოსავალზე ნაკლებად
გვიჯდებოდეს, ევლინგტონი მუდამ დაწვრილებით სწორდა

ეველას გასავალს და შემოსავალს. „მე დავიდე კანონად“, ამბობდა ის, თითონვე გაუსწორდე ეველას შესავალ-გასავალის დავთრების ანგარიშებით და გირჩევთ ეველას ასე მოაქცეთ; წინ ამ საქმეს სშირად თავის დანდობილ პირს ვაბარებდით, მაგრამ როდესაც შავიტყე, რომ აგრე ბევრი თუელი მაკლდება, გარდა-წვეიტე თვითონვე გაუსწორდე ეველას და არც მოვსტუეუვდიო“. ველინგტონი ასე იტყოდა ვალზე: „იგი ხდის კაცს მონად. მე სშირად ვუოთილვარ გაჭირებაში, მაგრამ არასოდეს არ მივალ-ნია. „ვაშინგტონი ველინგტონისამებრ, ძლიერ სწორი კაცი იყო ეველას წვრილმანში. შესანიშნავია, რომ ის არასოდეს უუ-რადღეობად არ სტოვებდა უუმცირეს გასავალსაც სასლში; ამ წესს ის მაშინაც ასრულებდა, როდესაც მთელი ამერიკის სამთავ-როების პრეზიდენტათ იყო. ამიღბარი ჯერვოლი ასე აღწე-რავს თავის გაჭირებას სიუმაწვილეში და იმას, თუ როგორ გადაწვეიტა მან ვალის მოშორება: „ჩემ მამას“, ამბობს ის, მცირე შემოსავლთან დიდი ოჯახობა ევანდა; როდესაც მე გამოვეთსოვე მას სამსახურში წასასვლელად, მან მამცა თორმე-ტი თუშანი და ეს იყო და ეს, ამის შემდეგ მისგან მე კან-ივიც ლარ მიმიღია. ვარცა დიდი ხნის სამსახურის შემდეგ ხლვასე, მე კიდევ მოვსთსოვე მამას თორმეტი თუშანი, მაგ-რამ მაგარი უარი მივიღე. ამ უარყოფამ მე ასე მაწყენინა, რომ გარდაწვეიტე, (რომელსაც მთელ ჩემ სიცოცხლეში მუდამ ვა-სრულებდი), არასოდეს ლარ ვსთსოვო მას თუელი. ამის შემ-დეგ მე დაუყოვნებლივ გამოვიცვადე ხასიათი და ცხოვრება, თავი დავანებე ქვიფის მოყვარე ამხანაგებს და ვიწყე მარტოდ ცხოვრება იმ მცირე ჯამაგირით, რომელსაც მე ვიღებდი ხო-

მადღზე; თვითონვე ვრცესავდა და თვითონვე ვკვრავდი ტანი-სამოსს; ამ გვარი გამორზოგვილი ცხოვრებით, მე შევინახე რამოდენიმე ფული, გარდვისადე წინასდელი ვალი, და ამის შემდეგ ჩემი ჰირველი მეცადინეობა ის იყო, რომ მეცხოვრა "შედღების-და-გეარად", ეს ჟერვოსი ამ გაჭირებას ითმენდა სწორედ ექვს წელიწადს, მაგრამ ყოველი ამით მან დაიცვა თავისი თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ზატიოსნება. შემდეგში მისი საქმე ასე წარმეტებით წავიდა, რომ მუდმივი თავის გამონებით და შრომით მიიღო ამიღბარობა (ზღვათა ქარების უფროსობა). მრავალი საწყალი კაცი ცხოვრობს დღითიდღე და ძლივ ძლიობით, რომელითაც იგი სხვას დიდ მწუხარებას აყენებს, მაშინ როდესაც ესევე საწყალები კარგა შემდეგებულად იცხოვრებდნენ, თუ წუწუნის და მსოფლად საქმის დაღებების მაგიერ, სულს მოჰკიდებდნენ მუშაობას და ჰირველადვე კარგად გაწყობდნენ თავიანთ ცხოვრებას.

ინდოეთში მეოფე ინგლისის ჯარის სარდალმა ჩარლზ ნებირმა ერთსულ, შემდეგი, ძლიერ სასტიკი ბრძანება გამოსცა, ახალგაზდა აფიცრების გარდამეტებითი გაშლილი ცხოვრების წინაღმდეგ. ამ ბრძანებაში ნებირი მტკიცედ ამბობდა: „ზატიოსნება გაუფოფელია კეთილ-შობილებასთან და ვინც სკამს მუქთ ღვინოსა და დასკიარნობს მუქთ ცხენებზე, იგი მაცდურია და არა კეთილ-შობილი. ვინც ვალებსათვის მიცემულნი არიან სამართალში არა თუ მარტო გარეშე ჰირებისაგან, არამედ თვით მოსამსახურებისაგან, რომდესაც მოსამსახურების ფულს უჭერენ და დროზე არ აძლევენ, ისინი, თემცა აფიცრობის თანამდებობაში არიან, მაგრამ კეთილ-შობილები კი

აღარ არიან. ის ცოტაა, რომ აფიცრეს შეუძლიან მამაცურად შებრძვა: ეს შეუძლიან ყველას. საქმე იმაშია-მტკიცედ ასრულებს კაცი თავის სიტყვას და ისდის ვალს, თუ არა? ნუპირს უნდოდა, რომ ინგლისელი აფიცრები იყვნენ არა მხოლოდ უშიშო რაინდები, არამედ უსაყვედურონიც. ინდოეთში არის მრავალი ახალ-გაზდა, რომელნიც მზათ არიან გადაეჩინენ სომხლის შუა ცეცხლში, გააპონ მტერი და ერთი სიტყვით ვაჟ-კაცობის სასწაულებანი გვინვენონ, მაგრამ ეს ცოტა „თუ ამ გეარსავე გამბედაობას და სიმტკიცეს ისინი არ გამოაჩინენ, რომელიმე გულის თუ გრძობის ბიწიერ მიდრეკილების შეპყრობაში და დამხობაში!“ . ცხორებაში ახალ-გაზდას უხვდება წინ მრავალი სამცდურო მოკვინება, რომელთაც თუ ის პირველსავე შემსხვევაში არ აერიდა, შაიძლება ნელნელა სრულიად შეპყრობილ იქმნას მათგან და მაშინ გვიანდა იქნება: ამათ საწინააღმდეგოდ საჭიროა ეოვლის დაუყოვნებლივ ბიწების გამბედავი უარ-ყოფა, რადგანაც ამ შემთხვევაში თავის-შეპყრა და ბიწიერების დაძლევა, რამდენჯერმე განმეორებული, ადამიანის სრულ ჩვეულებად ხდება. აი ამ გვარი ხასიათის შემუშავება ძლიერ საჭიროა ყველა ახალ-გაზდასათვის, რადგანაც მხოლოდ ამით შაიძლება დაძლეულ იქმნას გულის და ნდობის განურჯული თქმანი.

გუგო მილერი კარგათ აგვიწერს, თუ როგორ გადაურჩა ის ლოთობას, ჯერ კიდევ ახალ-გაზდაობაში. ერთხელ ქვის სამტკრეკში, სადაც ის მუშაობდა, ამხანაგებმა მოიტანეს არაუი და ამასაც ორი მოზდილი სტაქანი გადააკრეკინეს, „შინ დაბრუნებაში“, ამბობს მილერი, „მე ავიღე ბეკონის წი-

გნი, რომლის კითხვა ძლიერ მიყვარდა და დავიწყე კითხვა: უფურცე, ასოები ხტან ჩემ წინ და გონება აღარ მიჰყურებს. მდგომარეობა, რომელშიაც მე ჩავარდი, იყო ძლიერ ცუდი, ეს მე კარგად მესმოდა. საკუთარი მოქმედებით მე თვითონ დავიმდაბლე თავი და დავიმცირე გონება; მე მაშინვე გარდაწვევით აჩასოდეს აღარ უმსხვერპლა ჩემი გონებითი ნიჭიერებასი სიმთვრალეს და ღვთით მოკიბოვე კიდევ თავის თავში მოკლა და ხასიათის სიმტკიცე ამ ბიწიერი ლტოლვის ძირიანად აღმოასფრნობად“.

ამ გვარი მტკიცე გარდაწვევითილებაში შეადგენენ საფუძველს მკვიდრი ხასიათისას. განსაკუთრებით ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ ახალ-გაზდები და ხანში შესულები იმ ცუდ გულისწადილში, რომელშიაც გუგო მილერს შეკძლო სრულიად დამსობილიყო და გაფუჭებულიყო, თუ იმას იმ საშიშო წამში არ შეეკრება ყოველი თავისი ზნეობითი ძალები მის საწინააღმდეგოდ. ეს არის უფრუდესი, უშუბლურესი და ამასთან გარდამტებით უგონო მიზიდვა და გატაცება ახალ გაზდის ცხოვრებაში. ვალტერ-სკოტი ჩვეულებრივ იტყუდა: „ყველა ბიწიერობათა შორის ღოთობა უწინარეს ყოველთა შეუძლებელია ერთად მაღალ სულოვნებასთან“. მაგრამ ეს ცოტა: უნდა დაუმატო, რომ ღოთობასთან ერთად შეუძლებელია დამსოგველობა, მართებულება, სიმართლე და პატიოსანის ცხოვრება. თუ გაცს იმდენი ხასიათი არა აქვს, რომ ზომიერად მოიხმაროს რომელიმე გულის წადილი, მაშინ უთუოდ საჭიროა, რომ მან სრულიად უარ-ჰყოს იგი, თორემ დაიღუპება. საზოგადოთ აღამიანი მაშინ უფრო სწორ და შეურყეველ გზას ადგოა,

როდესაც იმას იმდენი ხასიათი და გონება აქვს, რომ ადვილად იკის მრავალი წვრილმანი მოთხროვნილებების უარ-ყოფა და დაძლევა უკეთესი მომავლისათვის. ამ გვარი შემუშავება საკუთარი ხასიათისა არის უუღლესი და უნაყოფიერესი ღვაწლი თვით-აღზღდაში.

ბეჭრი წიგნები იყო დაწერილი იმაზე, თუ რომელი სელოვნებით, ხერხით და სხვადასხვაობით შეიძლება ფულის შექმნა, მაგრამ უნდა გავტყუდეთ, რომ აქ არავითარი სხვადასხვაობა არ არსებობს, როგორც ეს კარგათა ჩანს მრავალი სხვადასხვაობის შემთხვევაში, მაგალითად: „იზრუნე გროშებსზე და მანეთიანები თითონ იზრუნებენ თავიანთ თავზე“. „მსოფლიო ეკუთვნის იმას, ვინც მამთმინე და შემოქმედაა“. „უძველესია უვანშმოთ დაწოლა, ვიდრე დილით ვაღიო ადგომა“ და სს. აი ის გამოცდილი ფულების შექმნის და საზოგადოთ წარმატების მართივი ფილოსოფია, რომელიც ასე კარგათ გამოხატულია მრავალი შთამომავლობების ანდასებში; და უნდა გავტყუდეთ, რომ აწინდელი ყოველ-დღიური გამოცდა და მაგალითიც ნათლათ გვიმტკიცებს მათ სისწორეს, ძალას, და საფუძვლიანობას.

შრომას და დამზოგველობას ძლიერ ბეჭრი მუშაობის დაქმნისას ადამიანს დამოუკიდებლობის მოპოებაში. დამოუკიდებლობის მოპოება ადვილად შესაძლებელია უბრალო მუშაკისათვისაც, თუ იგი გულს-მოდგინედ შეინახავს თავის შემოსავლს და გაუფრთხილდებს მცირე შენახულის უბრალოდ ხარჯვას. მართალია, მიტომ, დიდი არაფერია თვითო გროში ცალკედ აღებული, მაგრამ სშირად მსოფლოდ ამ გროშების წესიერ დასარჯვასზე და დამზოგველობაზე არის დამოკიდებული შეურ-

ეკლესიის ცხოვრება რამდენიმე ათასი ოჯახისა, თუ ეს გროშები, რომელნიც მძიმე შრომით არიან მოკლებულნი, კაცს ადვილად უცურდებიან ხელიდამ, მაშინ ამ გვარი კაცის ცხოვრება, დიდ და არაფრით განირჩევა საპალნიანნი ცხენის არსებობისაგან. წინააღმდეგ, თუ იმას ამავე გროშებიდამ ერთი ნაწილი მუდამ შეაქვს რომელიმე ბანკში, მეორე ურთი-ერთი დასმარების საზოგადოებაში და დანარჩენს აძლევს ცალს რიგიან და ზომიერ სასარგავად იმ საჭიროებებზე, რომელნიც შეჭურვიან რიგიან ცხოვრებას და წესიერად შვილების აღზდას, მაშინ ის დინასტის, რომ უურადღება წვრილმანში გვარისად ჯილდოვდება სასლის მოწობილობის გაუკეთებლობით, მომატებით და მომაგალში შიშის შემცირებით, თუ ამას გარდა, ესევე მუშა შემგულის ძალად სულთნებით, მაშინ იმას შეუძლიან შეინახოს არა-თუ მხოლოდ თავისი თავი, არამედ გასდეს კარგ თანაშემწედ მოუვასთათვის.

რომ ეს საქმე შესაძლებელია უბრალო მუშისათვისაც, ამის მშვენიერს მაგალითს წარმოგვიდგენს უბრალო მუშის ტომას რაიტის მოქმედება. ეს იყო ერთი უბრალო დღიური მუშა მანჩესტერის სახელოსნოში, მაგრამ ისეთი ძალაუფლება გამოიხინა ერთ უმძიმეს საქმეში, როგორც დამნაშავეების მოძიება, რომ იმისი მოქმედება ეკლესიისთვის მართლაც რომ მისაზამაყია. ერთსელ ტომას რაიტს ფიქრად მოსსულადა, თუ რა დიდ გაჭირებას უნდა ითმენდნენ განთავისუფლებულნი დამნაშავენი, სელ-ასლად პატიოსანი ცხოვრების დაწყებაში. ამას იქით ეს ფიქრი მოსკენებას აღარ აძლევდა და ამიტომ დაბრუნებული და დამნაშავეების მოძიება დაიდა თავის სიცოცხლის მიზნად.

ნუ გეგონებათ, რომ თავის მუშაობას თავი დანებებ, არა, უფრო კეთილ-სვინდისიანად დაიწყო მუშაობა. სასჯელსონს უპატრონი ძვირად აფასებდა რაიტის ურთულ და ბევრით მუშაობას და შემდეგში თავისი თავისი სასჯელსონს დაშედეგულად დანიშნა. თუმცა რაიტს ძლიერ მცირე ჯამაგირი ჰქონდა, ის მანც წესიერად ზდიდა შვილებს და ინახავდა თავის დიდ ოჯახობას. ამას გარდა, თუმცა, რაიტი უოველ დღე მუშაობდა დილის ექვსი საათიდან, ვიდრე საღამოს ექვსსამდინ, ის შუდამ შოუ-ლობდა რამოდენიმე თავისუფალ დროს, განსაკუთრებით კვირაობით, რომელსაც ახმაწებდა დაშნაშავებს. მაგრამ ცოტა დროითაც, რომელსაც ჩვენ შუდამ დღე განმარებთ რომელიმე საქმეს, ძლიერ ბევრის კარგის გაკეთება შეიძლება, თუ კარგათ დაურღვევლად განვსაზღვრავთ მას: ძნელად დაიჯერებთ, თუ გეტყვით, რომ ამ კაცმა, ათ წელიწადში თავისი შეუდრეკელი მეცადინეობით მოარჯულა და სამუდამო დაღუპვას გადაარჩინა სამსახე მეტი დაშნაშავე. მანჩესტერში ამას უეურებდნენ, როგორც ზნეობით მკურნალს: იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც კერც ღვდელი და კერც სხვა ვინმე ვერას არიგებდა, ტომას რაიტი უბრუნებდა მშობელს სახლიდან გაქცეულ ახალ გაზდა ვაჟებს და ქალებს, რომელნიც გარყვნილობას დასდგომოდნენ, მრავალი განთავისუფლებული დაშნაშავე ტომასმა ისევ პატრონსან შრომაზე და მოქმედებაზე დააყენა. ეს საქმე ასე ადვილი არ იყო: იგი ითხოვდა თულს, დროს, ენერჯიას, გონიერებას და განსაკუთრებით მტკიცე სასიათს და გამბედაობას. აქ განსაკუთრებით ის არის გასაშტერებელი და შესანიშნავი, რომ მრავალ ამ უბედურს რაიტმა შემწეობა აღმოუჩინა თავისი შრო-

მის მცირე ხელ-ფასილად; ამასთან კარგა გვარისად ინახავდა სახლობას და მოხუცების დროისთვისაც ფულს იზოგავდა. ყოველ კვირას ის დიდის გულს- მოდგინებით ქუთუდა თავის შემოსავალს ამ გვარად: ერთ ნაწილის ჩანძა-დახურვის და ჭამა-სმისთვის, მეორე ნაწილის მასწავლებლისათვის, მესამეს ღმერთ-შაკებისათვის, მეოთხეს რომელიმე ბანკში შესატანად და ყველა ამ დანიშნულს რიგებს ის სასტიკად ასრულებდა. ასე და ამ გვარად ეს უბრალო მუშა შრომობდა იმ დიდი მიზნის მისაღწევად, რომელიც ჩვენ ზემოდ მოკლედ აღვწერეთ. რაიტის მოქმედება; ვიმეორებთ, წარმოგვიდგენს აღმატებით შესანიშნავ ძალის მაგალითს, რომელიც იმყოფება აღამიანის გარკვეულ და მუდმივი მეცადინეობაში, მაგალითს მცირე საშუალებების ძალისა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ მათ მზრუნველობით და ყურადღებით, ყოველი კეთილ-სეინდისიანი მუშაობა არა თუ თავის დასამდაბლებელი არის, არამედ და დიდს პატივსა სდებს მის ზატრონს-რეგვარიც უნდა იყოს ეს მუშაობა-მიწის შემუშავება, თუ იარაღის კეთება და სხვა.

„იმას ვი არუნდა რცხვენოდეს, ვისაც რომ პატიოსანი სამუშაო აქვს“, ამბობს ფულერი, არამედ იმას, ვისაც არაფრითარი სამუშაო არა აქვს „ეპისკოპოსმა გულიმ სთქვა, რომ ყოველი შრომა გონებითი თუ სხეულითი მუდამ სასიამოვნოა. „ვიინც გამოვიდა მღაბიო ხარისხის ხალხილად, იმათ არა თუ უნდა რცხვენოდეს, თავიანთი შთამომავლობისა, არამედ უნდა ამყოფდნენ კიდევცა, რომ დასძლიეს ამდენი სიძნელე და თავი წინ წაიწიოს. ტომას ბერნარდი თავის თხზულებაში „საწყლეების მდგომარეობის გაუმჯობესება“ დიდის პატივის დემით

იხსენიებს ერთ ბუხარის-მწმენდელს, დაეთ პორტერს, რომელიც იყო ძლიერ ჭკვიანი კაცი და მშვენიერი მაგალითი შრომის და ბეჭითობის ძაღვებისა. სიყმაწვილეში პორტერი მიხარებულნი იყო შაგირდათ ერთ ბუხარის მწმენდელთან; ამ შაგირდების მაშინდელი ცხოვრება, რომელთაც საქმე მსოფლოდ ბუხარების მიღებაში ბლოკვა იყო, ბევრი არაფრიდ განიხილავდა მონათა მდგომარეობისაგან. თვრამეტი წლავნებიდამ პორტერმა თვითონვე იწყო ეს ხელობა. როდესაც თავისი სელობიდამ მოცლილი იყო, ის სსკვ საქმეს აკეთებდა მაგალითად, მკიდა; სთესვდა და სსკვ, რომლითაც პატარა ფული გამოიზოგა. ამკუ დროს ის არ იყაწეებდა თავის გონებით გასსსს და იმ წკვალებას, რომელიც აუტანელ ტვირთად ედვათ ბუხარის მწმენდილ პატარა შაგირდებს. ყოგელ თავისუფალ წამს, რომელსაც კი პორტერი გამოსტყუებდა თავის მუდმივ საქმიანობას, ასმარებდა იმ თსზულების დაწერას და შემუშავებას, რომელსაც ის ამ პატარა მუშებზე სწერდა. როდესაც ეს თსზულება დაიბეჭდა, ის ძალიან ცდილობდა მის გავრცელებას გავლენიან პირთა შორის, რათა აღძრას მათში შებრალება ამ საწყლებისადმი. პორტერმა თავისი დამოზგველობით, ბეჭითობით და თავ გამოდებით ერთსელ აღმონწიელ საქმეში, მოიზოგა კარგა დიდი შემღება, რომლითაც ასე გაუკეთეს ბუხარის მწმენდლების და მათი შაგირდების მდგომარეობა, რომ უკეთესა აღარ იქნებოდა. ტომას ბერნარის კითხვაზე, თუ როგორ მიადწია მან წარმატებას და როგორ შეიძინა ქონება, პორტერმა უზასუს: „ყველაფერს ამას მივადწიე იმით, რომ არასოდეს ერთი წამიც უსაქმოდ არ გამიტარებია და არც თავის უფალი ფული მქონია.“

მრავალი ჩვენგანი ენერგიულად აგროვებს ფულს, მსოფლოდ იმისათვის, რომ დიდი ფული იქონიოს; ვინც მოუღი

თავისი ანსუბით ამ საქმეს შეუდგება, თქმა არ უნდა, რომ ის მალე გამდიდრდება, უფრო მეტად იმიტომ, რომ ამისათვის საჭირო არ არის დიდი გამოცდილება და ჭკვა-გონება: სარჯეთ იმაზე ნაკლები, რასაც იკებთ თავისი შრომით, მუდამ მიუმატეთ მანეთს მანეთი, გულს-მოდგინებით და გაუტყნლად აგროვეთ, შეინახეთ და ცოტა სხის შემდეგ აურებელი ფული იქნება თქვენ განკარგულების ქვეშ. ჯონ ფოსტერი აი რა მაგალითს აკვიწებს: „ერთმა ასალგახდამ მრავალ ცუდ ეოფანტეკვაში ასე გაფლანგა მამისაგან დაწესილი აურებელი ქონება, რომ შთავარდა სილატაკეში და სასოკვეთებს მთვრა, ამ მდგომარეობაში მყოფმა, ის ერთსეულ გამოკარდა სასლიდამ იმ განძრახვით, რომ თავი მოიკლას, მაგრამ, როდესაც ვიდა იმ პატარა სერზე, საიღამაც მთელი მისი მამული, როგორც ხელის გულზე გამოჩანდა, ცოტა სხით შესდგა, დაჯდა დაიჭიქდა, შემდეგ წამოსტა და მეტის-მეტი მტკიცე სმით ავიარა: „რაც უნდა მომივიდეს, მე ისევე უნას უნდა დავიბრუნო თავისი მამა-პაპეული“ როდესაც შინ მოდიოდა ამ კარდაწვეკრთლებით, მას დაინახა, რომ მის სახლის ახლა გადაბრუნებულა ურეში სახშირით. მამისევე გაურიგდა მის პატრონს სახშირი, რომლის შრომისთვის მას მისცეს რამდენიმე გროში. მუშაობის გათავების შემდეგ მას ითხოვა ჰური ბეკითად საქმის შესრულებისათვის: მისი თხოვნა შეიწყნარეს და ჰური ატამეს, ასე, რომ ამ დღის ხელფასი დაუნარჩავი შენა და მაგრაჟ შეინახა. ამ გვარი ეოკელდღიური მუშაობით და გამოზოგვით ამ კანმა კარგა გვარისად გადაიდა თავისი ნადდი ფული. მაშინ იყიდა რამდენიმე საქონელი და გვარისანი მოკებით გაყიდა. გაუტყნელი სისწორით ჭ წარმოუდგენელი გაუმადრობით, ის მხოლოდ იმას მეცადინეობდა, რომ რაც შეიძლება მომეტებული ფული მოეგროვებ; შემდეგში კი ასე განაგრძედა თავისი საქმეები, რომ მართლა ჭ გასდა პირველი მდიდარი, გარდამეტებით დაბრუნა ეოკელი

გაფლანგული ქონება, მაგრამ სამწუსაროდ ძუნწის სახელით მოგვდა. ამ გვარში ფიქრი და გაუტყესელი გარდაწყვეტილება, რომ განიძრახოს ამ კაცზე უფრო ძალად და კეთილ-სულოვან-მა აღიმიანმა, ეჭვი არ არის, რომ ის შეიქმნებ უპირველეს კეთილ-მოქმედ ზიარად იმ საზოგადოებაში და საღვთო, სადაც მას ცხოვრების ბინა ექნება. ფულები, როგორც უკეთესნი მოწყობები მრავალი წლების მთავარი მომთმინეობისა, დაუღალავი და მატონ-სანი მოქმედებისა, არიან მშვენიერი დამტკიცებანი მათი ჰატ-რონის „ზნეობითი ღირსებებისა“. მაგრამ, მაინც, არც ადამიანის ნიჭიერება, არც ამ უკანასკნელების ავ-კარგანობა არ შეიძლება გაზომილი იყენს ფულით. თუ იმას აქვს ფულით სავსე ჰარკი, მაგრამ ცივი გული, — გაუწვდელი მამულები, მაგრამ მოკლე ტკვა, — რაში გამოადგებიან მას ეს ფულები? როცა ადამიანი გახდება, რათაც უნდა: მხოლოდ ტკვა და გული შექმნიან მას მდიდარ ანუ ღარიბ, უბედურ ანუ ბედნიერ კაცად; მათ (ტკვას და გულს) აღმატებით უფრო მეტის გაკეთება შეუძლიანთ, ვიდრე უუდიდეს ქონებას და სიმდიდრეს.

საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, რომ ადამიანები ფულს უფრო დიდ მნიშვნელობას აძლევენ, ვიდრე ეს მათ ეკუთვნის. უდიდესნი საქმენი, რომელნიც ოდესმე გაკეთებულა ქვეყანაზე, გაკეთებულა არა მდიდრებისაგან, არამედ იმ ჰირებისაგან, რომელთაც არავითარი სიმდიდრე არა ქონიათ და თუ ქონიათ ძლიერ მცირე, ქრისტიანობა იქმნა გავრცელებული თითქმის ნასკვარ ქვეყნიერებაზე და სულ საწყალი და მდაბიო ხალხის საწილით; უუდიდესნი მოაზრენი, სელოვნარნი, გამოძგონნი და აღმოჩენნი მოამეტებულად იუკეს სრულიად ზომიერ ქონების ჰატრონი; მრავალი მათგანი თავისი ხარისხით თითქმის არ გარდაქმნებულა უბრალო ხელოსანს? ასევე იქნება მუდამ: სიმდიდრე, უფრო მეტად, დაბრკოლების ძალადა, ვიდრე აღზნებისა და საქმეზე წაქეზებისა და მრავალ შემთხვევაში ადამიანისათვის იმდენივე ბედნიერება მოაქვს, რამდენიც უბედურება.

ახალ-გაზდა და შრომის შეუჩვენებელი კაცისათვის, რომელმაც მამისაგან მიიღო დიდი სამკვიდრებელი, ცხოვრება ძლიერ გადავიდებოდა, რისაგანაც ეს სოფელი მას ისე მოსწყენდებოდა ხოლმე, რომ საწყაღმა აღარ იცისრა რა ისურვოს და რა მოინდომოს. გონიერს მდიდარს მუდამ უნდა სძულდეს უსაქმობა; ის თუ დაივიწყდება, რა დიდი პასუხის გება აქვს მას სასოგადოების წინაშე, მამის უფრო მომეტებული შრომის მოისურვებს, ვიდრე საწყალი კაცი.

ქონების შექნა, ეტვი არ არის ჰმუკლის ზოგიერთებს, როგორც იტყვიან, „საღსში გამოხვლას;“ — მაგრამ, რომ ამით დაიმკვიდრონ ხალხში ნამდვილი პატივის ცემა, საჭიროა რომ ისინი შეძეულნი იყვნენ გონებითი სიჭიკრებით, კარგი ზნით და მართებულობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ გვარ ადამიანებს უყურებენ, მხოლოდ როგორც მდიდრებს და მეტი არაფერი. ახლაც არიან სასოგადოებაში მრავალნი მდიდარნი, რომელნიც არავის უურაღლებას არ იქცევენ და არც არავითარი პატივის-ცემა აქვთ ვისგანმე. რა მიზეზით? და იმ მიზეზით, რომ ისინი ჰგვანან მხოლოდ ფულით სავსე ტომრებს. საღსის უფროსთ და მოქმედი პირებისათვის სრულიად საჭიროა არ არის, რომ უთოთ მდიდრები იყვნენ. ამათ ესაჭიროებათ მხოლოდ უსაყვედურო ხასიათი, საქმითი გამოცდილება ზნეობითი აღმატებულება! . . .

ყოველი საქმის წარმატებით წარმოებისთვის არის მხოლოდ ერთი სახადო გზა — შრომა. ვინც რამე საქმეს ხელსაჭეიდებს, თავის დღეში მოიმედო არ უნდა იყოს რომელიმე კეთილ — შემთხვევაზე, არამედ მოვალეა ყოველი დამყაროს მხოლოდ და მხოლოდ თავის საკუთარ ძალებზე. ღორდი მელბურნი იტყოდა. „ახალგაზდა კაცი, რომელიც ცხოვრებაში გზას იკაფავს, თავის დღეში სხვის დახმარებაზე მოიმედე არ უნდა იყვეს; ყველაფერი დამოკიდებულა მის საკუთარს თავზე, — საჭიროა მხოლოდ დაუღალა-

ვი შრომა. ასევე უძვრობისა მიაღწიო რამე მიზანს აღმატებით მსელ გზიდ, ვიდრე რომელიმე კეთილი შემთხვევის შემწეობით. ისგლისის ქ. მარჩესტერის საზოგადოებაში შეძგეცინებოა მტკიცედ მიღებული: „ყველაზე წარმატებით იმათი საქმე მიდის, რომელნიც ყოვლის უარაფროდ იწყობენ საქმეს; ვინც იწყობს საქმეს ფულით ხელში, ის მომეტებულად ჰკარგავს ყველაფერსა.“ წარმადი კაცი თავის მარცხებს აწერს ყველა მიზეზს, მაშინ როდესაც ამაში მხოლოდ თვითან ამის დაძახებუე და არა სხვა; ამგვარი კაცი მუდამ სხვას აყვედრის თავის სიღატაკეს. „ისი აწყლვე სირეგვენა“ იტყვიან რუსები და, მართლაც, ისინი, ვინც მუდამ ჩივიან თავიანთ შეუძლებლობასზე, თვითონვე არიან დაუღვევარნი და შრომის არ მოყვარენი. აქიმი ვროსოსი იტყოდა: „ყველა ჩივილები ბედზე უსამართლოა; თვით ჩვენს ვაწთ ჩვენზე უბედურების მიზეზსნი; მე არ ვიცნობ არც ერთ ღირსეულ დაძმანს, რომ მას ცხოვრება აკლდეს; ყველა დაძმანს აქვს თავისი საკუთარი ნიჭიერებასნი, რომელნიც ის მოკლდა შეამუშაოს, რათა ამით უმცირესი, მაინც, არის, მწვლილი (გროში, საზოგადოთ მცირე რამ) შეიტანოს საზოგადო შრომის საღაროში.“

მომთმინებობა, ბეჯითობა და რიგიანობა აი აუცილებული თვისებასნი ყველა საქმის წარმატებითი წარმოებისათვის. წინა თავებში მოყვანილი უუდიდესი და გამოჩენილის კაცების მაგალითებმა სარეწარობაში, მეცნიერებაში თუ ხელოვნებაში, მგონია, კარგად გვიჩვენებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ცხოვრების ყოველ-გვარ საქმეში გარტყველ ბეჯითობას. ყოველ დღიური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დაუღვლავი ყურადღება წარმომადგენლობაში ბეჯითობას არიან საფუძველსნი კაცობრიობის ყოველმხრივ წარმატებისა. ერთ უუსაჭიროეს თვისებას ყველა ხამდგილი მუშაგისათვის შეადგენს გრეთვე რიგიანობა და სისწორე დაკვირვებაში, ღაზარაკში, ქცევაში თუ საქმის წარმოებაში. საქმის ყოველი უწვრიმადესი ნაწილიც კი უნდა კარგად იყოს გა-

გეთუელი და შესრულებული; უმჯობესია რიგანად გააკეთო
რომელიმე ჰატარა საქმე, ვიდრე არ შესრულო და სხევედ-
გზახე მიაგდო ათჳერ უბრო დიდი საქმე. ერთი ბრძენი ამბობს:
„უნდა ნაკლებად გაჩუმდეთ ხოლმე, რომ უფრო მალე
მიადწიო დასასრულოსაო“. მოქმედების აღსრულების წეს-
საც დიდი მნიშვნელობა აქვს საქმის წარმატებით წარმოქმნაში.
რინად სესილმა სთქვა: „საქმიანობის წესი ჰგავს იმ ნივთებს,
რომელნიც ხალგებუდი უნდა იყვნენ ყუთში; ვარგი ნამლაგე-
ბელი ხალგებს ორჳერ და სამჳერ მეტს, ვიდრე მოუხერხე-
ბელიო“. ესევე სესილი ამბობს: „უკვლახე მოკლე გზა ბევრის
გაკეთებისათვის არის ის, რომ სრულიად დასრულოდ ხოლმე
ყოველი ერთეულ დაწყობილი საქმე“. ამ ჰიროსას თვითონ იგი
სე სესტიკად ასრულებდა, რომ სშირად უსადილოთ და მოუ-
სვენებლად რჩებოდა, მხოლოდ კი დაემთავრებინა ერთეულ და-
წყობილი საქმე. ერთი სათრანკეთის კეზირი მუდამ თავის აუ-
რებელ საქმეებსაც ასწრობდა და დროს გატარებინათვისაც
პოულობდა დროსა. როდესაც მას ჰკითხავდნენ ხოლმე, თუ
როგორ ათავებს ამ ორ სრულიად სხვა-და-სხვა გვარ საქმეებს,
ის უმასუბებდა. „იბით, რომ რაც დღეს შამილიან გავაკეთო,
არასოდეს სვალისთვის არ გადავდე ხოლმეო!“. სწორეთ ამ
გვარივე იყო ბრუმი. საუბედუროთ, არიან ჩვენში მრავალნი
დაუდეკარნი, რომელნიც არ მისდევენ ამ გზასა და ამიტომაც
უკვლახ საქმეში მარცხი მოხდით. ამ გვარი ადამიანები მუდამ
მოიძეენი არიან თავიანთ დანდობილ პიერებსე, რომელნიც
სშირად ღირსნი არ არიან ამ ნდობისა. ეკვლახ თავის საქმეებსე
ადამიანი თვითონ უნდა გაისარჯოს. „თუ გინდათ, რომ თქვენი
საქმე გაკეთებული იყოს,“ ამბობს ერთი ანდზა, „თვითონ
გაკეთეთ იგიო, თუკი არ გინდათ რომ გაკეთდესო, სხვა გავ-
ზავებთ იმ საქმის გასაკეთებლათაო“.

ერთს ზანტ და ზარმაცს მებატონეს ჰქანდა მიწა, რომელ-
საც წელიწადში მოჰქონდა სამასი თუმანი ფული. როდესაც ვალში-

შთაკრდა, ამან ნასკვარი ამ მიწის გაყიდა და ნასკვარი კი იჯარით მისცა ოცი წლით ერთ შრომის მოყვარე კაცს, წელიწადში ას ოც თუმნად. ვადის შესრულების შემდეგ მიიჯარადრე მოვიდა პატრონთან და ჰკითხა: „ხომ არ გაჰყიდით თქვენს მიწასა?“ — „აგანა თქვენ გნებავთ მის შესყიდვას?“ — გაკვირვებით უპასუხს პატრონმა. „დიდს, თუ მოკრიგდითო“ — „ეს კერ გამოიგია,“ უთხრა პატრონმა! „მითხარით თქუენი ჭირიძე! როგორ მოხდა, რომ მე არი მატყელა მიწით ვერა ვცხოვრობდი, არც ვისმე იჯარის ფულს ვაძლევდი და თქვენ კი არა თუ ყოველ წელსა ასოც თუმანს იჯარის ფულს მაძლევდით, ახლა იმის შესყიდვაც გსურთო?!“ — „მაზენი ცხადია,“ უპასუხს შრომის მოყვარემ: „თქვენ, შინ გვერდზე წოლით საჩუქებლობდით თავისი მამულით, მე კი დილა ადრის ვსდგებოდი და საქმეზე ვირჯოდი!“

ვალტერ სკოტმა ასე მოსწერა ერთს ახალ-გაზდას, რომელიც გარკა დიდ საქმეში იყო გართული და დარიგებას სთხოვდა კალტერსა „მოერიდებით ხშირად უსაქმოდ ყოფნას; იშრომით დაუღალავად და მოისვენეთ მხოლოდ საქმის შემდეგ. თუ თქვენ ერთხელ შეაყენებთ საქმეს, მერმე გვიან ლა იქნება მისი გასწორება და წესზე მოყვანა“ მოსაქმე კაცები იტყვიან სოფლე, რომ დრო ფულიაო, მაგრამ უფრო მართალი იქნება თუ ვიტყვით, რომ იგი ფულზე უფრო ძვირია: თუ იმ საათებს, რომელსაც ჩვენ უსაქმობაში ვატარებთ, მოვისმარებდით საკუთარი თავის გასწინაღობისათვის, მაშინ რამოდენიმე წლის შემდეგ, უმეტესად კი განდებოდა განათლებულ კაცად და საღისის სასარგებლო წევრად. ნელსონი იტყოდა: „ყოველ ჩემ წარმატებას იმას ვაწერო, რომ არც ერთი საათის მეთხედს უბრალოდ არა ვკარგავდიო, თითქმის ყოველი ზიანი შეიძლება დაბრუნებულ იქნას.“ სიმდიდრის დაკარგვა-ახალი შრომით, ცოდნის დაკარგვა ახალი სწავლით, სიმდიდრის დაკარგვა თავის შენახვით და მკურნალობით, მაგრამ დაკარგული დროის დაბრუნება კი არა საშუალებით არ შეიძლება.??